კვირეული ბიულეტენი „ვერსია“ ერთი

ვერსია

№15 (1557) 12 18 მაისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

არის თუ არა საქართველოში წიწიბურას დეფიციტი

გაძვირდება თუ არა იმპორტირებული ხორბალი – ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან

პაემანი „რაინდთან“

ქვეყნის რეალური გადამრჩენი თუ თამაში პატრიოტული გრძნობებით

„ვასაძეს დალხენილი პოლიტიკური ცხოვრება არ ექნება!“

რას ურჩევს ნიკა მელიას და მოვლენების რა სცენარით განვითარებას პროგნოზირებს გია ხუხაშვილი

ირაკლი ღარიბაშვილს ახალი, სპეციალური მრჩეველი ჰყავს

რა მისიით ჩამოვიდა საქართველოში და ვინ არის ვაზილ ჰუდაკი

რა შეღავათებით ისარგებლებენ მოიჯარე ფერმერები

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, 63-ვე მუნიციპალიტეტში ტენდერები გამოცხადდება

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ალექსანდრე დარახველიძემ შინაგან საქმეთა სამინისტროში შშმ პირების შესახებ საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან უძღვებოდა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე.

შეხვედრა მიზნად ისახავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციასა და მის განხილვას. აღნიშნული სამოქმედო გეგმა შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის ბრძანებით, მიმდინარე წლის 31 მარტს დამტკიცდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ასევე, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ და მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედმა ხელმძღვანელმა, ანნა ჩერნიშოვამ და საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ, ეკატერინე სხილაძემ.

სამოქმედო გეგმის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს გეგმით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები და მათი შესრულების ინდიკატორები. შეხვედრის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებსა და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა მიეცათ – საჭიროების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრა საფუძველს ჩაუყრის რეგულარული ხასიათის მქონე სამომავლო თანამშრომლობას, რომლის ნიადაგზეც, საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნება. მისი მიზანი იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემთან მუდმივი და მჭიდრო კონსულტაციების წარმოება ისევე, როგორც სამომავლო სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მათი არსებითი ჩართულობის უზრუნველყოფა.

შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში, ღია სივრცის მოწყობის მიზნით, ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში, ღია სივრცის მოწყობის მიზნით, ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრში სასეირნო სივრცე მოეწყო. შესაბამისად, განთავსებული პირები შეძლებენ, დღის განსაზღვრული მონაკვეთი საკუთარი სურვილისამებრ გაატარონ ღია სივრცეში და დაკავდნენ ფიზიკური აქტივობებით.

ასევე, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ცენტრში გაიზარდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და დაინერგა 24/7-ზე სამედიცინო მომსახურება.

აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

კახეთის პოლიციამ ყვარელში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული ი.ყ. განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 5 მაისს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში, ურთიერთშელაპარაკებისას, თავისი ნაცნობი – 1982 წელს დაბადებული მ.პ. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ი.ყ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ყვარლის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

საქართველოს დელეგაციას ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის გემზე უმასპინძლეს

ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის გემზე, საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა და ხომალდის მეთაურმა, I რანგის კაპიტანმა, ტიმ ქრონინმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსს, პოლკოვნიკ ნიკოლოზ შარაძეს უმასპინძლეს.

ოფიციალურ ტურში მონაწილეობდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ჯუანშერ ბურჭულაძე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე, თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე.

ქართული დელეგაციის წევრებმა ამერიკული ხომალდი დაათვალიერეს და ხომალდის მეთაურისგან მისი ოპერაციული შესაძლებლობებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს.

ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის ხომალდი – USCGC HAMILTON (WMSL 753), ბათუმის ნავსადგურში 5 მაისს შემოვიდა. ხომალდს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი მასპინძლობს.

ნავსადგურში შემოსვლამდე, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის ხომალდისა და საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდების – „დიოსკურიასა“ და „ოჩამჩირეს“ მონაწილეობით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩატარდა.

ხომალდის ვიზიტი აშშ-სა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებას ემსახურება, ხელს უწყობს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას, ასევე, ხაზს უსვამს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისთვის შავი ზღვის მნიშვნელობას.

აშშ-ის სანაპირო დაცვის ხომალდმა ბათუმის ნავსადგური 6 მაისს დატოვა.

შინაგან საქმეთა მინისტრი „სინოფარმის“ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური „სინოფარმის“ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა. ვახტანგ გომელაურთან ერთად, ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში, ვაქცინაცია ჩაუტარდათ მინისტრის მოადგილეს, ალექსანდრე დარახველიძეს, ასევე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელ პირებსა და პოლიციის თანამშრომლებს.

„გავიკეთე აცრა „სინოფარმის“ ჩინური წარმოების ვაქცინით. მინდა, ყველას მოვუწოდო, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, წავახალისო ისინი, ასევე, მოვუწოდო ჩვენს მოქალაქეებს, რომ გაიკეთონ ვაქცინა.

რასაც ვხედავთ ჩვენ მსოფლიოში, რაც ხდება, სამწუხაროდ, წელიწადზე მეტია ველოდებით, თუმცა არაფერი შეცვლილა – დღითიდღე უარესდება მდგომარეობა მსოფლიოში, ყველგან და მათ შორის, ჩვენთანაც, ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება. რასაც ვხედავთ, რასაც გვეუბნება მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია, ჩვენი ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ექიმები, სხვა გამოსავალი არ არის, ყველა უნდა აიცრას, ვისაც ჯანმრთელობა უწყობს ხელს და ექიმების რეკომენდაცია ექნება“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ნინო დოლიძე

პაემანი „რაინდთან“

ქვეყნის რეალური გადამრჩენი თუ თამაში პატრიოტული გრძნობებით

ის დაბრუნდა, დაბრუნდა დიდი გეგმებით და იმის რწმენით, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, მის გარდა, ვერავინ გადაარჩენს. ზოგადად, ასეთი ზეპატრიოტული ამბიცია აქამდეც ბევრს ჰქონია და, რასაკვირველია, ამის მერეც ექნება, მაგრამ ეს კონკრეტული შემთხვევა მაინც განსაკუთრებულია. განსაკუთრებულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რაინდი ქვეყნის უპირველეს მტრად ლიბერალიზმს მიიჩნევს და თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად ლიბერალიზმის დამარცხება დაუსახავს. მეორეც, ნებისმიერი გონიერი ადამიანი ხვდება – ლევან ვასაძე ადამიანების პატრიოტულ გრძნობებზე თამაშობს, თუმცა ისიც თვალნათელია, რომ ამ პატრიოტიზმის უკან სხვა რამ იმალება. რა არის ეს სხვა რამ? – ამ კითხვაზე ასპროცენტიანი სიზუსტით პასუხის გაცემა შეუძლებელია, მაგრამ მოარული ხმა იმის შესახებ, რომ შეიძლება, კვალი ჩრდილოეთამდე მივიდეს, სავსებით რელევანტურია. რატომ? – იმიტომ, რომ რაინდის რუსულ კავშირებზე, იგივე, ქართულ ბეჭდურ თუ ტელემედიაში არაერთხელ თქმულა.

ბოლო, ყველაზე თვალსაჩინო აქტივობა ლევან ვასაძეს 2019 წელს ჰქონდა, როცა 17 მაისს, „თბილისი პრაიდი“ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ემზადებოდა. მაშინ, ალბათ, გახსოვთ, ვასაძემ და მისმა თანამოაზრეებმა, თბილისის ქუჩებში პატრულირება დაიწყეს, რაც „ქვიარ“ აქტივისტების გამოვლენასა და გაკიცხვას ემსახურებოდა.

რაინდი მაშინაც აქტიურობდა, როცა თბილისში ფილმის „და მათ იცეკვეს“ პრემიერა უნდა გამართულიყო – პრემიერაზე მისულ ადამიანებს სირცხვილის კორიდორები მოუწყვეს, მანამდე კი იქადნებოდნენ, რომ ფილმის ჩვენება არ შედგებოდა, თუმცა დაქადნება დაქადნებად დარჩა.

შარშან ანუ 2020 წელს, პანდემიის გამო, „თბილისი პრაიდი“ არ გამართულა, ამიტომ ვასაძეც ნაკლებად აქტიურობდა. წლევანდელი გააქტიურების საბაბი კი, როგორც თავად განმარტა, შარლ მიშელის ის დოკუმენტი გახდა, რომელსაც 19 აპრილს, ხელი ხელისუფლებამ და ოპოზიციის ნაწილმა მოაწერა.

„ბოლო წვეთი ჩემთვის იყო დანიელსონის დოკუმენტზე ხელმოწერა ოპოზიციისა და მმართველი ძალის. ამ დოკუმენტით, გარდა იმისა, რომ მოხდა დამნაშავეების ციხიდან გამოშვება, მოხდა კიდევ უფრო დამაზიანებელი რამ, რაც არის ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვა. ეს თუ შესრულდა, ამით ჩვენი ქვეყნის ისედაც მყიფე სუვერენიტეტი კიდევ უფრო იზღუდება.

როგორც უნდა გვიხსნიდნენ ჩვენი უცხოელი პარტნიორები, რომ ეს ხდება ქვეყნის დახმარების მიზნით, ეს არის ანა-ბანა, რომ ხდება ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვა. ამის სანაცვლოდ, ჩვენ მივიღეთ კიდევ 400 მილიონი ლარი ვალად, რომელსაც ეს ისტებლიშმენტი შეჭამს და შეატოვებს ამ ვალს ქვეყანას“, – განაცხადა ვასაძემ 6 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც საზოგადოებას ამცნო, რომ პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის, რომელსაც „ერი“ ერქმევა.

თავისთავად, საინტერესოა „ერი“-ს განმარტება. კერძოდ, „ერი“ არის აბრევიატურა სამი სიტყვისა – „ერთობა, რაობა, იმედი“. აქედანაც ჩანს, რომ რაინდი ადამიანების პატრიოტულ ემოციებზე თამაშობს. ზოგადად, პატრიოტული ემოციები ყველგან და, განსაკუთრებით, საქართველოში, კარგად კი არა, ძალიან კარგად იყიდება.

მოგვიანებით, „ერის“ ლიდერმა კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა და ნამდვილ ქალებსა და კაცებს მოუწოდა, რომ 16 მაისს დაგეგმილ აქციაზე მივიდნენ:

„16 მაისს, ქაშუეთის უკან, 9 აპრილის ბაღში შევიკრიბოთ. ვეძახი ყველას, გვარებს, ჩემი გვარის ჩათვლით, პატრიარქის ნათლულებს, იმ 45 000 ბავშვის ოჯახს, ვისაც მობეზრდა აქ ცხოვრება, სადაც შეურაცხყოფენ მათ ნათლიას და სახელმწიფო ვერაფერს აკეთებს ეკლესიის დასაცავად. ვეძახი ყველა იმ ადამიანს, ვინც კი არ ელოდება, რომ კიდევ ერთი პოლიტიკოსი გამოვა, რაღაცებს დაგვპირდება, ხელს აიქნევს და ეს ყველაფერი შესრულდება, არამედ, ვისაც უნდა, რომ დაუდგეს ნამდვილ კაცებს და ქალებს გვერდით, რაღაცა ჩადოს, რაღაცა გაიღოს ამ საერთო საქმისთვის... გელოდებით ყველას, იქნება ძალიან საინტერესო, იმედით, ერთობით და რაობით სავსე დღე“.

სანამ ნამდვილი ქალები და კაცები ლევან ვასაძესთან პაემანზე მივლენ, ინტერნეტში ანალიტიკოს ლელა ჯეჯელავას განცხადება ვრცელდება, რომელშიც ნათქვამია:

„ათწლეულების განმავლობაში, პოლიტიკურ ველზე, ქართული ეკლესიისა და პატრიარქის რეიტინგების ზომვამ ლოგიკური შედეგი გამოიღო და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უკვე აქვს საკუთარი პოლიტიკური პარტია, გამზადებული ელექტორატით და აკუმულირებული საპროსტესტო ენერგიით...

ვის გვერდით დგას დღეს ხალხი? – რიონისხეობელი მშვენიერი ახალგაზრდა ქართველი კაცის, ვარლამ გოლეთიანის, რომელიც 200 დღეა, ქართული მიწის „გაყიდვის“ წინააღმდეგ იბრძვის.

კიდევ, სად დგას ხალხი? – „გაყიდული“ დავით გარეჯის დასაბრუნებლად.

ვინ გვეცილება რიონის ხეობას ? – „თურქები!“ ეს ერთმნიშვნელოვანი პასუხია, თუმცა რუსული პასუხი, რადგან „ენკა“ ნორვეგიულ-თურქული კომპანიაა.

ვინ გვეცილება დავით გარეჯს? – „აზერბაიჯანი!“ ესეც ერთმნიშვნელოვანი პასუხია, თუმცა რუსული პასუხი, რადგან იქ საზღვარი აზერბაიჯანს არ გაუვლია, სხვათა შორის, ქართველმა გაავლო, რომელის მიმართაც სენტიმენტები იმათ, ვინც დღენიადაგ გვამადლის სულიერებასა და პატრიოტიზმს, ჯერაც აქვთ!

მერე, რა, რომ რუსეთმა ამ 30 წლის განმავლობაში, ჩვენი მიწის 20 პროცენტი საერთოდ უკაპიკოდ წაიღო და, პირიქით, ათასობით ქართველის სისხლით გადაგვახდევინა საფასური ჩვენი თავისუფლებისთვის. როგორ საჭირო და სავალდებულოც კი იყო „200 დღე კარვებში პროტესტი“ – საზღვრისპირა რეგიონებში, ჩვენი ტერიტორიებიდან გატაცებული ადამიანების გათავისუფლების მოთხოვნით, მტრისთვის ყასიდად მაინც რომ გვეჩვენებინა, რომ მათი ბედი გვაწუხებს. წერილებს კი ხშირად ვუგზავნიდით რუსეთის ბრძენ მართველს. ეგ იყო ოღონდ, რომ პასუხის ღირსად არასოდეს ჩაუთვლია ჩვენი ეკლესია!

საქართველოში ერთი საპროტესო აქციაც არ შენარჩუნებულა ისე ხანგრძლივად, როგორც ნამახვანჰესის საწინააღმდეგო პროტესტი. ეს არის პროტესტი თავისი დინამიკით, რიტმით, დრამატურგიით, ძალიან საინტერესო პერსონაჟებითა და ძალიან მზარდი ენერგეტიკული მუხტით. სრულიად წარმოუდგენელია, რომ სპონტანურად შეკრებილ, გამოუცდელ ადამიანებს, მათი გულწრფელობის მიუხედავად, ეს მოეხერხებინათ. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ პროტესტის უკან ძალიან სერიოზული ორგანიზებული ძალა იდგა.

რიონის ხეობის მცველებმა რამდენჯერმე დააანონსეს აქციის თბილისში გადმოტანა, მაგრამ გადადეს არცთუ ცხადი დასაბუთების საფუძველზე.

ამჯერად, აქცია თბილისში, 23 მაისს არის დაანონსებული. ბუნებრივია, რომ 23-ში, დედაქალქში, პროტესტის მართვის სადავეები ნამახვანელი ვარლამიდან უკვე რაინდ ვასაძის ხელში გადავა და ეს პროტესტი უკან, რიონის ხეობაში აღარ დაბრუნდება.

საკმაოდ საინტერესო იყო ლევან ვასაძის 6 მაისის განცხადება, რომ მისი პოლიტიკაში შემოსვლისთვის ბოლო წვეთი იყო შარლ მიშელის დოკუმენტი, რომლითაც ევროპამ თავისუფლება წაგვართვა. უფრო ცხადად დალაგებული ფაზლი იშვიათია პოლიტიკაში. რამდენი რამის დაბრუნებისთვის უნდა იბრძოლოს რაინდმა პოლიტიკოსმა?! – თურქებისგან რიონის ხეობის, აზერბაიჯანელებისგან დავით გარეჯის სიწმინდეების, ევროპისგან მიტაცებული თავისუფლების, ამერიკელებისაგან წართმეული ქართველობის და ოჯახის სიწმინდის ანუ გარე მტრები გარკვეულია, მაგრამ კომბლები მათთვისაც გამოთლილია და ჭერში აწყვია, ვინც რიონის ხეობა „გაყიდა“, ვინც გარეჯი „გაყიდა“, ვისაც თავის ქვეყანაში ჯაღმაიძის საშვის გარეშე გადაადგილება უნდა, ვისაც „ჰარი პოტერის“ წაკითხვა უნდა და, უბრალოდ, ეროტიკული ფილმის ნახვის შემდეგ, კინოდარბაზიდან ჩაფხუტის გარეშე გამოსვლა ურჩევნია“.

და მაინც, ვინ არის ლევან ვასაძე? – მისი მოკლე ოფიციალური ბიოგრაფია ასეთია:

ბიზნესმენი ლევან ვასაძე, საქართველოში, მსოფლიო საოჯახო კონგრესის წარმომადგენელია. ოჯახების მსოფლიო კონგრესი (WCF) ქრისტიანულ-ევანგელისტური ორგანიზაციაა, რომელიც ლგბტ თემის მიმართ სიძულვილს აღვივებს, ხოლო მისი მისია, მსოფლიოს მასშტაბით, „ბუნებრივი ოჯახის“ დაცვის სახელით, ლგბტ უფლებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში მდგომარეობს. კონგრესის მიერ „ბუნებრივი ოჯახი“ განისაზღვრება, როგორც ქმრის, ცოლისა და მათი ბიოლოგიური შვილისგან შემდგარი ერთობა.

2016 წლის 15-17 მაისს, რიგით მეათე საიუბილეო კონგრესი, სახელწოდებით, „ცივილიზაციის გზაჯვარედინზე: ოჯახი – თავისუფლებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ბასტიონი“, თბილისში გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი და მასპინძელი ლევან ვასაძე იყო, რომელმაც კონგრესზე ჰომოფობიური, ანტიდასავლური და პრორუსული განწყობების შემცველი სიტყვა წარმოსთქვა.

ლევან ვასაძე ორგანიზაცია საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ის ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა, რომლის მიერ მომზადებული ორი საკანონმდებლო ინიციატივა 2015 წელს, საქართველოს პარლამენტში, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა, სოსო ჯაჭვლიანმა წარადგინა. ინიციატივები მოითხოვდა ანტიდისკრიმინაციული კანონიდან სიტყვების – „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერი“ ამოღებას, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ დასჯადად გამოცხადებას.

ერთი სიტყვით, ლევან ვასაძესთან „პაემანი“ დაანონსებულია. როგორი იქნება ამ პაემნის ბოლო აკორდი? – ამას დრო გვიჩვენებს. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

„ვასაძეს დალხენილი პოლიტიკური ცხოვრება არ ექნება!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას ურჩევს ნიკა მელიას და მოვლენების რა სცენარით განვითარებას პროგნოზირებს გია ხუხაშვილი

ევროკავშირის მიერ გადახდილი გირაოს სანაცვლოდ, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიამ საპატიმრო დატოვა, რამაც შესაძლოა, ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი უფრო საინტერესო გახადოს... ციხიდან გამოსულ მელიას საკუთარ პარტიაში დიდი ვნებათაღელვა ელოდება – ენმ-ში ამჯერად პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხმა გამოიწვია განხეთქილება და ამ პროცესში, მოარული ხმით, მიხეილ სააკაშვილი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამრიგად, საინტერესოა, რა პოზიციას დაიკავებს პარტიის თავმჯდომარე, რომელმაც საპატიმროში პოლიტიკური პრობლემები ვერა, მაგრამ ზედმეტი კილოგრამები ნამდვილად დატოვა... მელიას გათავისუფლების მიუხედავად, ენმ 15 მაისისთვის მასშტაბურ აქციას ისევ აანონსებს, ყოველ შემთხვევაში, უკვე დაანონსებული აქცია ჯერ არავის გადაუტანია. საგულისხმოა, რომ 16 მაისს, მასშტაბურ მიტინგს პოლიტიკაში ახლადშემოსული რაინდი, ლევან ვასაძეც გეგმავს. მოკლედ, ერთსა და იმავე პერიოდში, ორი კარდინალურად განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ძალა საპროტესტო აქციას რომ მართავს, ეს უკვე მოვლენების საინტერესოდ განვითარების სერიოზული ინდიკატორია... არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ექსპერტ გია ხუხაშვილს დავუკავშირდი და ვკითხე, რა შეიცვლება ქართულ პოლიტიკაში, ნიკა მელიას საპატიმროდან გამოსვლით:

– დიაპაზონი საკმაოდ დიდია. წინასწარ ძნელი სათქმელია, მელიას საკმაოდ რთული ამოცანები აქვს უახლოეს პერიოდში გადასაწყვეტი და იქიდან გამომდინარე, თუ როგორ გადაწყვეტს ამას, შეიძლება, მისგან მოხდეს სერიოზული პოლიტიკური მოთამაშის ფორმირება. თუ მოახერხებს პარტიაზე კონტროლის აღებას და ჩვენ ვხედავთ, რომ ენმ-ში, ორი საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობაა ანუ ერთმანეთისგან განსხვავებული, ორი ძირითადი ხაზი ვითარდება – თუ მელია კონტროლს აიღებს, გარკვეულწილად, შეავიწროვებს სააკაშვილის პოზიციებს და აღადგენს ოპოზიციაში იმ თანხმობას, რომელიც ბოლო დროს დაირღვა, შეიძლება, გახდეს სერიოზული მოთამაშე. თუმცა, ამის გაკეთება საკმაოდ რთული იქნება.

– ის თუ არის მნიშვნელოვანი, რა პოზიციას დაიკავებს მელია პარლამენტში შესვლაზე? – ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში განხეთქილების მიზეზი, ახლა, სწორედ ეს თემაა...

– რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანია. ოპოზიციაში ერთიანობის შენარჩუნება შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შევა. ვფიქრობ, ეს პოლიტიკურადაც სწორია იმიტომ, რომ შეურიგებელ წინააღმდეგობებზე გადასვლის პოლიტიკა არ ამართლებს. შესაბამისად, ვფიქრობ, ის ზომიერი და უფრო ზეპარტიული პოზიციებიდან გამოდის და რატომღაც მგონია, უფრო იქით გადაიხრება, რომ კრიზისი პარლამენტში გადაიტანოს. ის კი არა, რომ კრიზისი ჩაცხრეს, არამედ, კრიზისი საპარლამენტო ფორმატში გადავიდეს.

– ბატონო გია, 15 მაისისთვის, ენმ მასშტაბურ აქციას აანონსებს და გუბაზ სანიკიძემ საინტერესო რამ თქვა, ლევან ვასაძე იწყებს აქციებს და შესაძლოა, ოპოზიციას ქუჩა წაართვასო. რას იტყვით, ეს მოსალოდნელია?

– ქუჩის წართმევა რა არის?.. იმასაც შეუძლია, გამოვიდეს და ამასაც...

– გასაგებია, მაგრამ მთავარი ისაა, ხალხი ვისთან გავა, ბატონო გია ...

– საერთოდ, აქციების დატოლება ძალიან მაგონებს ბავშვურ თამაშებს. კაცები რომ ატოლებენ რაღაცებს (იცინის)... სისულელე და პოლიტიკური ინფანტილიზმია იმიტომ, რომ აქციაზე ხალხის რაოდენობა საზოგადოების განწყობის სწორი ინდიკატორი არაა. ვასაძე, როგორც ვიცი, აქციის გამართვას 16-ში აპირებს და ნაციონალური მოძრაობის და ოპოზიციის ადგილზე, 15-ში აქციას არ ჩავატარებდი იმიტომ, რომ თუ ისინი გადადიან პრაგმატულ, საპარლამენტო ფორმატში, 15 მაისის აქცია, გარკვეულწილად, აზრს კარგავს. მით უმეტეს, 16-ში მოჰყვება ვასაძის აქცია, რაღაც ცუდი კავშირებია და რაც მთავარია, რადიკალურად დაპირისპირებული იდეოლოგიით. ასე რომ, პირადად მე, ჩავხსნიდი ამ საკითხს. აქციის ჩატარებას აზრი მაშინ ჰქონდა, სანამ მელია ციხეში იჯდა, ახლა კი გამოვიდა და ამ ფორმატს ახლა არ გამოვიყენებდი.

ცოტა ხანს ასპარეზი დავუთმოთ კონსერვატიულ ძალებს, შევხედოთ და გავიგოთ, მათ რა უნდათ.

– ისე, ლევან ვასაძეს როგორ პოლიტიკურ მომავალს უწინასწარმეტყველებთ? თუ თბილისის მერობის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, გამარჯვების შანსი ექნება?

– ვფიქრობ, თბილისში არ იქნება ის ძალიან მოთხოვნადი იმიტომ, რომ ულტრაკონსერვატიული განწყობები თბილისში ნაკლებადაა. რა განწყობებზე ვსაუბრობთ? – რელიგიურ საფუძველზე აგებული ნაციონალიზმი, ევროსკეპტიციზმი, ანტიგლობალიზმი, ანტივაქსერი და ა.შ. მთელი ეს „ბუკეტია“.

– რუსეთთან დიალოგის მომხრეებიც არ დაგვავიწყდეს...

– კი, ევროსკეპტიციზმში, თავისთავად, ეს იგულისხმება. ერთმორწმუნეობის თემაცაა შემოსული... ასე რომ, ეს სერიოზული სეგმენტია ქართულ პოლიტიკაში და ამას არასერიოზულად არ უნდა შევხედოთ, მაგრამ ჯერ ბოლომდე კარგად გაზომილი არაა. ვფიქრობ, ეს 10-15%-ის ფარგლებშია, ქვეყნის მასშტაბით, თან ამასაც უნდა ათვისება და კონკურენტიც ჰყავს „პატრიოტთა ალიანსის“ სახით, რომელსაც პოლიტიკაში მეტი გამოცდილება აქვს.

ასე რომ, ვასაძეს არ ექნება დალხენილი ცხოვრება ამ სეგმენტზე, მათ შორის, შიდა კონკურენციის თვალსაზრისით. დავაკვირდეთ მოვლენებს, ეს ანგარიშგასაწევი ძალაა, მაგრამ არ მგონია, რომ უნდა ვილაპარაკოთ ვასაძის მიერ არჩევნების მოგებაზე ანუ 50%-ზე და ასეთ ციფრებზე. 10-15% არის მაქსიმუმი, ჩემი აზრით, რისი კაპიტალიზაციაც მას შეუძლია.

ირაკლი ღარიბაშვილს ახალი, სპეციალური მრჩეველი ჰყავს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ახალი მრჩეველი ჰყავს. სლოვაკეთის ეკონომიკის ექსმინისტრი, ვაზილ ჰუდაკი, რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, ამიერიდან ირაკლი ღარიბაშვილის სპეციალური მრჩეველი იქნება უცხოური ინვესტიციების მიმართულებით. მთავრობის მეთაურის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, კორონავირუსის გამო შექმნილ რთულ ვითარებაში ეკონომიკის აღდგენის ახალი გეგმაა საჭირო. მისივე განმარტებით, ამ გეგმაში უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, სპეციალური მრჩევლის ძირითადი ფუნქცია სწორედ ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა იქნება.

რა მიმართულებით იმუშავებს სლოვაკი მრჩეველი

როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ვაზილ ჰუდაკი იმუშავებს უცხოური საჯარო და კერძო სექტორებიდან მხარდაჭერის მობილიზებაზე საქართველოს მთავრობის ახალი ეკონომიკური სტრატეგიისთვის; მას ურთიერთობა ექნება ევროკავშირთან; საერთაშორისო სავალუტო ფონდთან; მსოფლიო ბანკთან; ევროპის საინვესტიციო ბანკთან; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. მეტიც, ვაზილ ჰუდაკი იმუშავებს საერთაშორისო სამეწარმეო-ეკონომიკურ სუბიექტებთან; საინვესტიციო ფონდებსა და ბანკებთან.

რაც მთავარია, ვაზილ ჰუდაკი აქცენტს გააკეთებს სტრატეგიულ და პრიორიტეტულ საინვესტიციო პროექტებზე და მათ განხორციელებაში ჩართავს უცხოელ ინვესტორებს – როგორც ფიზიკურ, ასევე, იურიდიულ პირებს.

„მინდა, წარმოგიდგინოთ ჩემი სპეციალური მრჩეველი, ბატონი ვაზილ ჰუდაკი, რომელიც იმუშავებს უცხოური ინვესტიციების მიმართულებით... ქვეყანას სჭირდება ინვესტიციები, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკა სწრაფად უნდა აღდგეს, ჩვენს მოქალაქეებს კი მეტი დასაქმება და მეტი შემოსავალი სწირდებათ. აქედან გამომდინარე, შევარჩიეთ ბატონი ვაზილი, რომელიც საქართველოს დიდი მეგობარია და მისი წარმატებული კარიერის განმავლობაში, მუშაობდა ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტად, სლოვაკეთის ეკონომიკის მინისტრად, ასევე, ფინანსთა მინისტრად. მანამდე მუშაობდა კერძო ბანკებში, როგორებიცაა „ჯეი პი მორგანი“ და „სითი ბანკი». ასევე მინდა გითხრათ, რომ ბატონი ვაზილი ძალიან კარგად იცნობს საქართველოს. როცა ბატონი ვაზილი ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიენტი იყო, ხშირად სტუმრობდა საქართველოს. იგი კარგად იცნობს ჩვენს ეკონომიკურ გუნდს. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი ვაზილი, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად წარადგინეს. ბატონმა ვაზილმა უკვე გამართა შეხვედრები ეკონომიკური პროფილის მინისტრებთან. მისი ამოცანაა, ჩვენი ახალი ეკონომიკური სტრატეგიისთვის უცხოური საჯარო და კერძო სექტორებიდან მხარდაჭერის მობილიზება...

ჩვენი დღევანდელი სტრატეგიის გათვალისწინებით, საქართველოში, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სფეროში ევროპის პოლიტიკას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ეს პოლიტიკა, სწორედ ბატონი ვაზილის ხედვითა და პროფესიული რჩევებით განხორციელდება. ასე, რომ მინდა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ვაზილს ამ შეთავაზების მიღებისთვის და დარწმუნებული ვარ, ერთობლივად მივაღწევთ იმ შედეგს, რომელიც ახლა სჭირდება ჩვენს ქვეყანას“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ვაზილ ჰუდაკმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რანგში იმუშავებს, როგორც ქვეყნის განვითარებისთვის, ასევე, მთავრობის ხელშესაწყობადაც.

„უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის დიდი პატივია, რომ საქართველოში კვლავ დავბრუნდი. საქართველო არის ძალიან ახლოს ჩემს გულთან და როგორც ბატონმა პრემიერმა ბრძანა, საქართველოში ბევრჯერ ვყოფილვარ სხვადასხვა რანგში – ყველაზე ახლო პერიოდში ვიყავი, როგორც ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. ეს არის უმსხვილესი ინვესტორი საქართველოში და საქართველოს ეკონომიკაში. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ახლა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რანგში ვიმუშავებ ქვეყნის განვითარებისთვის და მთავრობის ხელშესაწყობად.

რა მისიით ჩამოვიდა საქართველოში და ვინ არის ვაზილ ჰუდაკი

ჩვენ რთულ პერიოდში გვიწევს მუშაობა ერთად, ევროპაში, გლობალურად, კოვიდის გამო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს რთული დრო არის შესაძლებლობების პერიოდიც. შესაძლებლობა გვაქვს, რომ გავიზარდოთ, განვვითარდეთ ბევრი სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა სფეროს უკეთესი ხარისხი შევქმნათ, შეერთებული შტატებიდან, ევროკავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან მოვიზიდოთ დახმარება. ჩვენ ვიცით, როგორ უნდა მოვახდინოთ ეკონომიკური სიტუაციის აღდგენა ინვესტიციების, მეტი ეკონომიკური განვითარების გზით. მიმაჩნია, რომ ეს არის საქართველოს მომავალი ევროკავშირში. უკვე ბრძანა ბატონმა პრემიერმა, რომ ევროკომისიის და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ვარ მცირე და საშუალო საწარმოების მიმართულებით. ეს არის გამძლეობის მატებისთვის შექმნილი სპეციალური ინსტიტუტი. 50 მილიარდი ევრო გამოიყო ამ პროგრამისთვის. ორი ძირითადი ასპექტი გააჩნია ამ პროგრამას, ერთი გახლავთ გაციფროვნება და მეორე – მწვანე ან გარემოსდაცვითი მიმართულება, კლიმატის ცვლილების დაძლევა. ეს არის საქართველოს მიმართულებებიც – გახდეს უფრო ციფრული, უფრო თანამედროვე და უფრო მწვანე. მიმაჩნია, ამით საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპას და ეს არის საქართველოს მთავრობის ძირითადი მისწრაფებაც. ამ პროცესში, ყველა ამ გამოწვევასთან ბრძოლის საქმეში, ეკონომიკური გუნდის ყველა მინისტრს შევხვდი, სხვადასხვა გამოწვევა და სხვადასხვა საჭიროება შევისწავლე. სახელმწიფო რესურსები არაა საკმარისი ყველა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ სხვა რესურსებიც იყოს მობილიზებული და კერძო სექტორიც იყოს ჩართული. სწორედ ამაში ვხედავ ჩემს როლს, რომ დავეხმარო საქართველოს მთავრობას იმ გზების გამოძებნაში, რომლითაც მოხდება სხვა რესურსების მობილიზაცია – საერთაშორისო დახმარების გზით, რაც საქართველოს მთავრობას კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს. ამას ვხედავ საჯარო და კერძო პარტნიორობის გზითაც, რაც საქართველოს ეკონომიკას წაადგება. მე ნამდვილად დიდი პატივი მაქვს, რომ ამ რანგში ვიმსახურო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლად და საქართველოს, ქართველ ხალხს ვემსახურო, ეს არის საქართველოსა და ევროკავშირის კავშირების გაძლიერების შესაძლებლობა და ამ მისიას ძალიან სერიოზულად ვუდგები“.

ვინ არის ვაზილ ჰუდაკი

ვაზილ ჰუდაკს, როგორც საჯარო, ასევე, საერთაშორისო საფინანსო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ამჟამად, ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის მრჩეველია ეროვნული განვითარების ფონდის შექმნის საკითხებში.

2006-დან 2010 წლამდე, ვაზილ ჰუდაკი იყო ამერიკული მრავალეროვნული საინვესტიციო ბანკის CITIGROUP-ის ვიცე-პრეზიდენტი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის საკითხებში (პრაღა/ლონდონი); 2010-2011 წლებში, მუშაობდა ამერიკულ საინვესტიციო ბანკში – J.P. MORGAN CHASE (ლონდონის ოფისი), სადაც აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საჯარო სექტორთან თანამშრომლობის მიმართულებით; 2012 წლიდან 2015 წლამდე იყო სლოვაკეთის ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი; 2015-2016 წლებში – სლოვაკეთის ეკონომიკის მინისტრის პოსტს იკავებდა; 2016-2019 წლებში – ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ.

2019 წლის ნოემბრიდან, ვაზილ ჰუდაკი სლოვაკური საკონსულტაციო ცენტრის GLOBSEK-ის პროექტების მმართველია და იმავდროულად, ბუდაპეშტის (უნგრეთი) აეროპორტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიცაა. 2021 წლის თებერვლიდან, ჰუდაკი ჩეხეთის განვითარების ფონდის საინვესტიციო კომიტეტის წევრია. პარალელურად, ჩეხური საინვესტიციო ფონდის 4gimel-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობს.

ვაზილ ჰუდაკი 1964 წლის ოქტომბერში, ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში დაიბადა. სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. დამთავრებული აქვს ჩეხეთის ჩარლის უნივესიტეტი და ჰარვარდის ბიზნესსკოლა.

გარდა ამისა, ვაზილ ჰუდაკი იყო ევროკავშირის საბჭოს ეკონომიკური და ფინანსური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი; ევროკავშირის ბიუჯეტის მთავარი მომლაპარაკებელი ევროკავშირში იმ დროს, როდესაც ამ ორგანიზაციას სლოვაკეთი პრეზიდენტობდა; ჰუდაკი იყო სლოვაკეთის საინვესტიციო ჰოლდინგის, ასევე, სლოვაკეთის საგარანტიო და განვითარების ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკისა და საერთაშორისო საინვესტიციო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; საერთაშორისო ანალიტიკური ორგანიზაცია EASTWEST INSTITUTE-ის ვიცე-პრეზიდენტი.

მცირე და საშუალო ბიზნესს ინვესტიციები სჭირდება

6 მაისს, ევროკავშირში, მცირე და საშუალო საწარმოების სპეციალურ წარმომადგენლად, სწორედ ვაზილ ჰუდაკი წარადგინეს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რას ფიქრობენ და როგორ აფასებენ პრემიერის გადაწყვეტილებას მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები.

„ვერსიასთან“ საუბრისას „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტმა“, **მიხეილ ჭელიძემ** აღნიშნა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს ინვესტიციები წყალივით და ჰაერივით სჭირდება:

„რა თქმა უნდა, ძალიან კარგი ინიციატივაა, რადგან დღეს ყველაზე მეტად, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს სჭირდება საერთაშორისო დახმარება. ვფიქრობთ, პატარ-პატარა ინვესტიციები შემოვა, მაგრამ დიდი რაოდენობით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მცირე და საშუალო ბიზნესს ახლა ყველაზე მეტად უჭირს. დიდმა ბიზნესმა, ასე თუ ისე, კრიზისის გადალახვა შეძლო, ხოლო რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, რაოდენობრივად, 30%-იანი შემცირება გვაქვს. პრაქტიკულად, ყველა კომპანია, რომელიც დაიკეტა და გაჩერდა, მცირე და საშუალო ბიზნესს წარმოადგენდა. სწორედ ეს კომპანიები უნდა აღდგეს, აღდგენას კი ინვესტიციები სჭირდება“.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პრეზიდენტი, ნინო ზამბახიძე, იმავდროულად, „მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. „ვერსიასთან“ საუბრისას, ნინო ზამბახიძემ განაცხადა, რომ ყველა განვითარებული ქვეყანა, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეა ორინტირებული:

„პანდემიიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას ყველაზე დიდი გამოწვევა, რაც დაუდგა, უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის გადარჩენაა. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილებები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან მრჩეველი, ვაზილ ჰუდაკი ცნობადი სახეა. როდესაც უცხოელი შენი ქვეყნის ელჩი და თან პრემიერის მრჩეველია, ვფიქრობ, ეს კარგი სიგნალია ევროკავშირისა და ევროპული ქვეყნებისთვის, რომ ჩვენ ვართ პროდასავლური ქვეყანა. ამავდროულად, ჩვენი ინტერესია, უცხოური ინვესტიციები შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, რადგან ეს მხოლოდ ეკონომიკას კი არ აჯანსაღებს, ჩვენს უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს – ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ და როდესაც ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები შემოდის, როდესაც ბევრი საერთაშორისო, დასავლური ორგანიზაციები არიან ქვეყანაში ფეხმოკიდებულნი, ცხადია, უსაფრთხოების კუთხითაც დაცულები ვართ“.

რა შეღავათებით ისარგებლებენ მოიჯარე ფერმერები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ამიერიდან, მოიჯარე ფერმერები ახალი შეღავათებით ისარგებლებენ – მთავრობის გადაწყვეტილებით, შეღავათები დაუწესდებათ ფერმერებს, რომლებსაც იჯარით აღებული მიწის გამოსყიდვა სურთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფერმერები, რომლებსაც შედარებით მცირე მიწა იჯარით აქვთ აღებული, ამიერიდან, 25%-იანი ფასდაკლებით შეიძინენ. გადაწყვეტილება 2 000-მდე მოიჯარეს შეეხება.

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, 63-ვე მუნიციპალიტეტში ტენდერები გამოცხადდება

ამ გადაწყვეტილების მიზანია, გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ხელმისაწვდომობა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმებას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ნათია თურნავას განცხადებით, მთავრობის ეს გადაწყვეტილება იმ ფერმერებს გაახარებს, რომლებსაც მიწები იჯარით აქვთ აღებული და მის გამოსყიდვაზე ფიქრობდნენ.

„იმისთვის, რომ გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო მიწის ხელმისაწვდომობა და საშუალება მივცეთ მოიჯარეებს, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ საკუთარი უფლება – პირდაპირი წესით შეიძინონ მიწები, ამიერიდან, ფერმერები ამას 25%-იანი ფასდაკლებით შეძლებენ. სამხარაულის ბიუროს მიერ შეფასებული ფასიდან, 25%-იანი „დისქაუთი“ დაწესდება, რომლითაც მოიჯარეები ისარგებლებენ. საქართველოში, ასეთი 2 000-მდე მოიჯარეა და საკმაოდ დიდ ფართობებზეა საუბარი. წლებია, ეს ადამიანები ამ მიწებს ამუშავებენ, ამ გადაწყვეტილებით კი, მათთვის მიწების გამოსყიდვა უფრო ხელმისაწვდომი გახდება. გარდა ამისა, მთავრობის ახალი ინიციატივა კერძო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას კიდევ უფრო მეტად გაზრდის“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ ხელისუფლების ამოცანაა, არცერთი აქტივი არ გაჩერდეს, მიწა დაუმუშავებელი არ დარჩეს და ყველაფერი, ეკონომიკის აღდგენას, ასევე, მოქალაქეების დასაქმებას მოემსახუროს.

რამდენიმე წლის წინ, მოიჯარეებს, რომლებიც მიწებს ამუშავებენ, მთავრობამ ნება დართო, რომ პირდაპირი წესით, საბაზრო ფასად გამოესყიდათ მიწები. თუმცა თურნავამ იქვე დასძინა, რომ მთავრობის დღევანდელი გადაწყვეტილება, სწორედ ამ მიწების მაღალმა ფასმა განაპირობა, რის გამოც მოიჯარეებს მათზე წვდომის სერიოზული პრობლემები აქვთ – სურვილის მიუხედავად, მიწების მაღალი ფასის გამო, შეძენას ვერ ახერხებდნენ.

„ვაკვირდებოდით ტენდენციას და დავრწმუნდით, რომ ფასები საკმაოდ მაღალია. ბევრ მოიჯარეს ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს, ამ უფლებით ისარგებლოს. სწორედ ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება“, – დასძინა თურნავამ.

10 მაისის მთავრობის სხდომაზევე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ პროგრამა „განახლებული რეგიონების“ მიმდინარეობის შესახებ კოლეგებს ინფორმაცია მიაწოდა. მისი თქმით, აქტიურად იმართება სპეციალური კომისიის სხდომები და კონკრეტულ არეალებსაც არჩევენ, სადაც პროგრამით გათვალისწინებული პროექტები უნდა განხორციელდეს. ამ პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე კვირის განმავლობაში, პროექტებისთვის საჭირო ტენდერები საქართველოს 63-ვე მუნიციპალიტეტში გამოცხადდება.

გასული კვირის განმავლობაში, სპეციალური კომისიის წევრები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმყოფებოდნენ, სადაც კომისიის სხდომები გაიმართა. ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, მუნიციპალიტეტების ჩართულობით, სპეციალური კომისია მათ წინადადებებს იხილავდა, შედეგად კი პროექტების განხორციელების კონკრეტული არეალები დაამტკიცა.

„ვიმყოფებოდით იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიასა და ბოლოს აჭარაში. ყველგან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები – 34-ვე მუნიციპალიტეტი იყო წარმოდგენილი. პროექტები უშუალოდ ქალაქების მერებმა წარადგინეს და საინტერესო მსჯელობაც გაიმართა, მათ შორის, მდებარეობების განსაზღვრისას. ისეთი მდებარეობები შევარჩიეთ, სადაც, ამ პროგრამის ფარგლებში, სოციალ-ეკონომიკური ვითარება მნიშვნელოვნად გამოსწორდება, კიდევ უფრო გაჯანსაღებდა და ახალი შესაძლებლობებიც გაჩნდება“, – განაცხადა ქარსელაძემ.

მისივე თქმით, განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, თუმცა ნებისმიერი დაინტერესებული პირი დაინახავს, რამდენად მასშტაბური ობიექტები შეირჩა. პროექტების განსახორციელებლად კი ტენდერი უკვე გამოცხადდა და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

„დღეს 7 ტენდერი იხსნება, მაგრამ კიდევ გამოცხადდება და შესაბამისად, პროცესი უწყებ რეჟიმში განვითარდება. ტენდერის შედეგად, გვეყოლება საპროექტო და საამშენებლო კომპანიები, რომლებიც ადგილებზე, მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, წარადგენენ საპროექტო დოკუმენტაციას, რასაც შემდგომში აღვასრულებთ“.

ირაკლი ქარსელაძის თქმით, უახლოეს პერიოდში, მსგავს ტენდერებს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებშიც გამართავენ. ეს ნიშნავს, რომ კვირის განმავლობაში, ტენდერები 63-ვე მუნიციპალიტეტში გამოცხადდება. უპრეცედენტო პროგრამა „განახლებული რეგიონები“, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით ხორციელდება, საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს. ამ პროგრამის მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია. ღარიბაშვილის ინიცირებული პროგრამა ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო საკუთრებაში არსებული, მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

არის თუ არა საქართველოში წიწიბურას დეფიციტი

მაია მიშელაძე
593-51-90-12



გაძვირდება თუ არა იმპორტირებული ხორბალი – ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან

რუსეთის მთავრობამ წიწიბურას ექსპორტი აკრძალა. მიზეზი ისაა, რომ წიწიბურა შიდა ბაზრისთვის აუცილებელი პროდუქტების ჩამონათვალში დაამატეს და მისი საზღვარგარეთ ექსპორტი დროებით აკრძალეს. მთავრობის განკარგულების თანახმად, რუსეთიდან წიწიბურას ექსპორტი 2021 წლის 5 ივნისიდან აიკრძალება და ძალაში 31 აგვისტომდე დარჩება. ამავე განკარგულებით, გამონაკლისს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვებენ, თუ წიწიბურა ჰუმანიტარული დახმარების ნაწილია. 2021 წლის იანვარ-მარტში, 2020 წელთან შედარებით, რუსეთში წიწიბურა 39%-ით გაძვირდა, რის გამოც 1 ტონა 571.2 დოლარი ღირს. მართალია, რუსეთიდან წიწიბურას ექსპორტი 5 ივნისიდან უნდა აიკრძალოს, მაგრამ საქართველოში ეს პროდუქტი მყისიერად უკვე გაძვირდა. არადა, წიწიბურა სასურსათო კალათის ის ძირითადი პროდუქტია ხორბალთან, შაქართან, ზეთსა და მაკარონთან ერთად, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია. მეტიც, შარშან, პანდემიის პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასურსათო კალათის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ის პროდუქტები დაასუბსიდირა, რომლებიც იმპორტის სახით შემოგვაქვს.

საინტერესოა, გეგმავს თუ არა სახელმწიფო წიწიბურას სუბსიდირებასაც, მით უფრო ახლა, როდესაც მზესუმზირის რაფინირებული ზეთი კატასტროფულად გაძვირდა. სწორედ ამ საკითხების გასარკვევად, „ვერსია“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, გელა ხანიშვილს დაუკავშირდა.

– ბატონო გელა, რუსეთი წიწიბურას ექსპორტს კრძალავს, რის გამოც ეს პროდუქტი საქართველოში უკვე გაძვირდა. პანდემიის გათვალისწინებით, აპირებს თუ არა სახელმწიფო, რომ შარშანდელის მსგავსად, წიწიბურა დროებით მაინც დაასუბსიდიროს?

– საქართველო მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია, სადაც პანდემიური სიტუაციაა და ეს ცალკეულ სასაქონლო ჯგუფებზე ფასების ცვლილებას, ვარდნას, მატებას, კლებას იწვევს. ის, რაც გასულ წელს, პანდემიის დროს განვახორციელეთ, ძირითადი კონტროლი გახლდათ სახელმწიფოს მხრიდან, რომ აჟიოტაჟის გამო, ბაზარზე ამა თუ პროდუქციის დეფიციტი არ შექმნილიყო. როგორც იცით, საქართველოს მთავრობამ ამას წარმატებით გაართვა თავი.

წიწიბურასთან დაკავშირებით, პირველივე ინფორმაციის გაჟღერებისთანავე, ორ საკითხს გავუსვით ხაზი და ვთქვით: პირველი – იმპორტიორებმა და საქართველოს მთავრობამ ვიცოდით, რომ სხვადასხვა სახის მსჯელობები იმართებოდა რუსეთში, წიწიბურას ექსპორტის აკრძალვაზე და ეს ინფორმაცია დაფარული არ ყოფილა, ამიტომ იმპორტიორებმა შესაბამისი მარაგები შემოიტანეს. ამასთან, რუსეთის ბაზრის სხვა ბაზრებით ჩანაცვლებაზეც მუშაობდნენ და ეს მუდმივი პროცესია. შარშანაც მოხდა ანალოგიური შემთხვევა, როდესაც რუსული წიწიბურა იმპორტიორებმა ჩინურით ჩაანაცვლეს; მეორე – ესაა ემოციური ფაქტორი. პირველივე დღეს გამოვედი და ვუთხარი საქართველოს მოსახლეობას, რომ წიწიბურას მარაგები არის, იმპორტი გადაეწყობა ახალ ბაზრებზე და შედეგად, ახალი საფასო პოლიტიკა გვექნება, რასაც განსაზღვრავენ იმპორტიორები და სავაჭრო ქსელი. კარგად იცით, რომ ფასებს მოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს და არა – სახელმწიფო.

ამდენად, კარგად მესმის, რომ თუ ზედმეტი აჟიოტაჟი შეიქმნება, შესაძლოა, ამას ფასების გარკვეული კორექტირება მოჰყვეს. წიწიბურასთან დაკავშირებით იმპორტიორებმაც განაცხადეს, რომ მარაგები არის. ამასთან, დაადასტურეს, რომ მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნებთან და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ის არის, რომ ბაზარი რეალურად თავისუფალია. ძალიან ბევრი იმპორტიორია, რომელსაც ხელეწიფება, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოიტანონ ნებისმიერი პროდუქცია, მათ შორის, წიწიბურა.

სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ წიწიბურას ექსპორტი რუსეთს გუშინ და დღეს არ აუკრძალავს, ოფიციალური განაცხადის მიხედვით, ამ პროდუქტის ექსპორტი 2021 წლის 5 ივნისიდან უნდა აიკრძალოს. ეს ნიშნავს, რომ აკრძალვამდე, რუსეთიდანაც თავისუფალ რეჟიმში იყიდება წიწიბურა და შესაბამისად, იმპორტიორებს საშუალება აქვთ, მარაგები წამოიღონ. ამასთან, წიწიბურას ახალ მოსავლამდე რამდენიმე თვე დარჩა – ახალი მოსავალი კი, ახალ საფასო პოლიტიკას ჩამოაყალიბებს. ამდენად, ამ ეტაპზე, მარაგებთან დაკავშირებით, შიში არ გვაქვს, ეს პროდუქტი ბაზარზე იქნება და საფასო პოლიტიკაც იმის მიხედვით ჩამოყალიბდება, მსოფლიოს რომელი ქვეყნიდან შემოიტანენ იმპორტიორები წიწიბურას, როგორი იქნება მისი სასტარტო ფასი და ლოგისტიკური ხარჯები.

სამწუხაროდ, ძალიან ბევრ პროდუქციას და მათ შორის ზეთს, პანდემიამ მძიმე დაღი დაასვა – ეს პროდუქტები გაძვირდა, მაგრამ არსებობს ცალკეული სახის პროდუქცია, რომელიც ბევრად იაფია. მაგალითად, ქართველი ფერმერები წუხილით აცხადებენ, რომ მათი პროდუქცია ბაზარზე ძალიან იაფია, ამ შემთხვევაში, კარტოფილს, კომბოსტოსა და ზოგადად, ბოსტნეულს ვგულისხმობ. გასულ წელთან შედარებით, ეს პროდუქტები მკვეთრად გაიაფებულია, რაც გარკვეულწილად, მომხმარებელს დაეხმარება, რომ ზოგადად, თავის კალათში, გაძვირებული იმპორტირებული პროდუქცია, გაიაფებული ადგულობრივი პროდუქციით დააბალანსოს.

– ალტერნატიული ბაზრები ახსენეთ და ბრძანეთ, რომ შარშან, იმპორტორებმა წიწიბურა ჩინეთიდან შემოიტანეს. თუ გაქვთ ინფორმაცია, ჩინეთის გარდა, კიდევ რომელი ქვეყნების ბაზრებზე მუშაობენ შემომტანები?

– ვინ რომელ ქვეყანასთან მუშაობს, ამის თქმა გაგვიჭირდება, მაგრამ ზოგადად, წიწიბურა აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის კულტურაა. შესაბამისად, ეს ქვეყნები არიან ძირითადი მწარმოებლები და ბუნებრივია, იმპორტიორები, სწორედ ამ ქვეყნებთან დაამყარებდნენ კავშირს. ამასთან, წიწიბურას მწარმოებელია უკრაინაც, თუმცა ბიზნესი თავისუფალია, სახელმწიფო არ ერევა, რომელი ბიზნესოპერატორი რომელი ქვეყნიდან განახორციელებს იმპორტს. სხვათა შორის, იმპორტიორებმა განაცხადეს, რომ წიწიბურას ექსპორტის აკრძალვამდე, რუსეთთან მუშაობას და იქიდან ამ პროდუქტის შემოტანას გააგრძელებენ, მაგრამ პარალელურად, სხვა, ალტერნატიულ ბაზრებზეც გადაერთვებიან. ამასთან, წიწიბურას ახალი მოსავლის პროგნოზიც საკმაოდ მაღალია და შესაბამისად, საფასო პოლიტიკაც შეიცვლება.

ზოგადად, ადამიანები ემოციურები ვართ და ამის გამო, ხშირად, ხელოვნური აჟიოტაჟი იქმნება. შესაბამისად, თუ წიწიბურასთან დაკავშირებით, ხელოვნური აჟიოტაჟი არ შეიქმნება, არ გვაქვს მოლოდინი, რომ ბაზარზე გაუთვალისწინებელი რამ მოხდება. წიწიბურას მოხმარება თვეში 300 ტონის ფარგლებშია და ეს მარაგები მუდმივად ივსება – არის კონტრაქტები, შემოდის პროდუქცია ანუ მარაგი საწყობშიცაა და სავაჭრო ქსელშიც.

– ბატონო გელა, სამომხმარებლო კალათში არსებული სხვა იმპორტირებული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტიც ხომ არ გაძვირდება?

– ამასთან დაკავშირებით, ერთადერთი ინფორმაცია ისევ რუსეთიდან გვაქვს, ვგულისხმობ ხორბლის იმპორტს. თქვენ იცით, რომ რუსეთმა შემოიღო საექსპორტო გადასახადი. წიწიბურაც, ხორბალიც და ბევრი სხვა კულტურაც რუსეთიდან შემოდის იმის გამო, რომ მათი ლოგისტიკა – მარტივი, ფასები კი დაბალია. თუმცა თუ რუსეთი სხვადასხვა შეზღუდვებს დააწესებს საკუთარი ექსპორტიორებისთვის, რის გამოც პროდუქცია მკვეთრად გაძვირდება, ამ შემთხვევაში, ალტერნატიულ ბაზრებზე დავიწყებთ ზრუნვას. ეს ეხება ხორბალსაც ანუ თუ რუსეთი იგივე პოლიტიკას გააგრძელებს და ამ პროდუქტის ფასი იმაზე ძვირი აღმოჩნდება, ვიდრე ალტერნატიულ ბაზრებზეა, ბუნებრივია, ქართველი იმპორტიორები ალტერნატიულ ბაზრებზე გადაერთვებიან.

– კონკრეტულად, რომელ ბაზრებს გულისხმობთ?

– ხორბლის შემთხვევაში, ალტერნატიული ბაზრებია ევროპული ქვეყნები: საფრანგეთი, რუმინეთი. გარდა ამისა, შეიძლება იყოს აშშ და კანადა. დღეს ფასთა სხვაობა, რითაც რუსული ხორბალი უფრო იაფად შემოდის საქართველოს ბაზარზე, დაკომპენსირდა საექსპორტო გადასახადით და იმაზე უფრო მეტად გააძვირა, ვიდრე დავუშვათ, კანადაში ნაყიდი ხორბალი ჩამოვა საქართველოში, ბიზნესი კანადაზე გადაერთვება. მარტივად რომ აგიხსნათ, თუ კანადაში იმაზე უფრო იაფი იქნება ხორბალი, ვიდრე რუსეთშია, ცხადია, ბიზნესი კანადურს იყიდის.

გიმეორებთ, საქართველო ღია, თავისუფალი საბაზრო პოლიტიკის ქვეყანაა, სადაც თავისუფალი ვაჭრობაა. ხელშემწყობი პირობებია ექსპორტიორებისთვის, მაგრამ არც იმპორტიორებს აქვთ ბარიერები, ამიტომ ქართველი იმპორტიორები თამამად ვაჭრობენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან, ეძებენ სწორ, ალტერნატიულ და ეფექტურ გზებს. დღემდე, სწორედ იმის გამო, რომ ბიზნესი თავისუფალია, პრობლემები არ ყოფილა და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

„ამის წაკითხვა ძნელია, მაგრამ...“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ლადო კახაძე ეპიდვითარებასა და პანდემიის დამარცხების გზებზე

ვაქცინაციის პროცესში მთავრობის წარმომადგენლები ერთვებიან. ქვეყანაში ჩინური ვაქცინა „სინოფარმით“ აქტიური ვაქცინაცია მიმდინარეობს. მიმდინარე ეპიდვითარებაზე „ვერსია“ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლადო კახაძეს ესაუბრა.

– ბატონო ლადო, ამას წინათ თქვით, რომ საქართველოში, კორონავირუსის ინდური შტამი დაფიქსირდა, თუმცა ამირან გამყრელიძემ ეს ინფორმაცია უარყო. ინდური შტამის არსებობაზე განცხადება რაზე დაყრდნობით გააკეთეთ?

– ამირან გამყრელიძემ თქვა, ლაბორატორიულად, კორონავირუსის ინდური შტამი საქართველოში არ დადასტურებულა, თუმცა ინდური შტამის არსებობის ალბათობა არსებობსო. ეს არის გონიერი, გამოცდილი, განათლებული ექიმის სიტყვები, რაც ვერ გამორიცხავს იმ რეალობას, რომ თურქეთში არის ინდური შტამი. ამასთან, ინდოეთის მოსახლე მხოლოდ ინდოეთიდან კი არ შემოდის, შეიძლება, სხვა ქვეყნიდანაც შემოვიდეს, ამიტომ ამ ალბათობის დაშვება სწორია. მეც ზუსტად ამ კონტექსტში ვსაუბრობ, როცა ვამბობთ, რომ უნდა გამკაცრდეს ინდოეთიდან შემომსვლელთა კონტროლი და ორკვირიანი კარანტინი დაწესდეს. ამის გამართლება ზუსტად ესაა, რომ პრევენცია მოვახდინოთ. ყველა ეს შტამი ერთმანეთისგან განსხვავდება გავრცელების სიჩქარით და ინდური შტამი გაცილებით სწრაფად ვრცელდება, ვიდრე ბრიტანული.

ვთხოვ, რომ კი არ გავამკაცროთ, არამედ, მკაცრად დავიცვათ რეგულაციები – პირბადე, დისტანცია, თავყრილობების აცილება – ყველაფერ ამაზე გავაკეთე პრევენციული განცხადება. ჩემს მეგობრებს, რომლებსაც ვენდობი, ვეკითხები ყველაფერს, ლაბორატორია და ლაბორატორიული მონაცემები არ მაქვს, მე მხოლოდ ალბათობა დავუშვი.

– „სინოფარმი“, რომლის ვაქცინაციაშიც დღეს მთავრობის წარმომადგენლები ჩაერთნენ, მოქმედებს თუ არა ჩინურ, ბრიტანულ და სხვა ახალ შტამებზე?

– მსოფლიოში 175 ქვეყანა აქტიურადაა ჩართული ვაქცინაციის პროცესში და ყველა მეცნიერი ერთსა და იმავეს ამბობს. ენტონი ფაუჩიმ, იცით, რა თქვა? – საუკეთესო ვაქცინა ისაა, რომელსაც გაიკეთებო. ნებისმიერი ვაქცინის დედაარსი, ნებისმიერი შტამის დასუსტებაა, რაც ნიშნავს, რომ თუ ვირუსით დასნებოვნდები, ჰოსპიტალიზაცია ან რეანიმაციაში მოხვედრა არ დაგჭირდეს, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ლეტალობა შემცირდეს! ხარისხით ერთმანეთისგან ცოტა განსხვავდება, მაგრამ სიცოცხლეს იცავს, რაც საერთო აქვთ.

„ასტრაზენეკა“, რომლითაც მე და ჩემი ოჯახი ავიცერით, ჩემს ასაკს შეეფერება, გვითხრეს, 55 წელს ქვემოთ ნუ გაიკეთებთ ამ ვაქცინასო. ამ დროს, ჩინურ ვაქცინა „სინოფარმს“ ასაკობრივი შეზღუდვა არ აქვს და მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ახალგაზრდებს, რომლებმაც წინ გაიხედეს, გონიერი და პრაქტიკული გადაწყვეტილება მიიღეს – საკუთარი და სხვისი ჯანმრთელობის დაცვა გადაწყვიტეს და ამასთან, პოსტკოვიდურ პერიოდზე ფიქრობენ, მათ აქტიურობას მივესალმები.

მზადდება დოკუმენტი, პრაქტიკულად, გამზადებულია, რომელიც სერტიფიკატს ანუ უსაფრთხოების ნებართვას გულისხმობს. თუ აცრილი ხარ და გაქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, უსაფრთხო ხარ, როგორც სტუმარიც და მასპინძელიც. ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულია ტურიზმის სფერო, რომელმაც უდიდეს დარტყმა მიიღო. 2019 წელს, სამჯერ მეტი სტუმარი გვყავდა, ვიდრე მოსახლეები ვართ, ეს შესაშური პოტენციალი გვაქვს და ამიტომ იყო შეთავაზება ტურიზმით დაკავებული ადამიანებისთვის. ვნახეთ, როგორ კარგად გამოეხმაურა ეს სექტორი – ერთი სული აქვს, აიცრას, სრულ მზადყოფნას გამოთქვამს. ბევრს საზღვარგარეთ აქვს საქმე და მოტივაციაც იზრდება, რადგან საზღვარი გაეხსნებათ და უსაფრთხოდ დახვდებიან. ეს არის კარგი მოტივაცია, რასაც მივესალმები და მადლობა NCDC-ს, რომელმაც მოამზადა დოკუმენტი და განხილვის საფუძველი გახდება ცოტა ხანში.

– ბატონო ლადო, საქართველოში ინფიცირებულთა რიცხვი იზრდება. ეს ნიშნავს, რომ პანდემიის მესამე ტალღა უკვე მიმდინარეობს, არა?

– დედამიწაა მესამე ტალღაში და ჩვენც ვართ.

– ზაფხული, თქვენი პროგნოზით, როგორი გვექნება?

– როგორც ხედავთ, საუბრის დროს, პოლიტიკური ვუალი მოცილებული მაქვს, არ მინდა, ვინმეს ოპონირება გავუწიო. მინდა, ყველა დაირაზმოს ამ თემის გარშემო, დადებითი შედეგის მისაღებად.

ჩვენ გადავიარეთ ტალღა, როცა დღიური მაჩვენებელი 5000 იყო და გვახსოვს, რამდენს გვიკიჟინებდნენ, სისტემა ჩამოიშლებაო. ასე არ მოხდა, გაუძლო სისტემამ ამ გამოწვევას და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა ექიმს, ექთანს, სანიტარს და რაც მთავარია, ორგანიზატორებს. ინდოეთში ჩივიან, ისეთი ტალღაა, ჟანგბადი არ გვყოფნისო. ჩვენ კი დღესაც მობილიზებული გვაქვს, მაგრამ სულ ვამბობ – ნუ გამოვცდით ბედს, ჩვენი მიზანია, გამოცდილება გავიზიაროთ და გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან წარმატებულად. შარშან, ცოტა ადრე დავიჯერეთ, რომ კოვიდს ვაჯობეთ და ამან ცოტა გაგვირთულა სიტუაცია. ახლა კი დიდი თხოვნა მაქვს, ერთმანეთს ნუ გავეჯიბრებით და ეს ჯიბრი ვირუსის სასარგებლოდ არ ვაქციოთ, ამიტომ ის რეგულაციები, რომლებიც გვაქვს, კი არ გავამკაცროთ, არამედ, მკაცრად დავიცვათ. ჯერ ექიმი ვარ და მერე – პოლიტიკოსი, ამიტომ ადამიანებს ვურჩევ... ვიცი, რომ ძალიან დიდი დისკომფორტის შემქმნელია, მაგრამ პირბადე არის უმთავრესი დამცველი, ამასთან, სოციალური დისტანცირება, ხელის ჰიგიენა და თავშეყრის ადგილებიდან თავის არიდება.

ძნელია ახალგაზრდებისთვის ამის წაკითხვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს. თუ ამ რეგულაციებს მკაცრად დავიცავთ და ვაქცინაციას ფართო ფრონტით გავშლით, საიმედო ნაბიჯები იქნება და ამის ცოცხალი მაგალითი გვაქვს – ისრაელი. მწვანე დოკუმენტი გახდება საფუძველი, რომ უსაფრთხო იქნები ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ჩვენ ყველანი ვართ ქვეყანა და უნდა მოვბილიზდეთ დიდ-პატარა ისე, როგორც ისრაელში მოხდა, რომ ეს თემა დავძლიოთ და გავხდეთ სამაგალითო. ჩვენ ეს შეგვიძლია.

საამრითადი
№15 12 მაისი 2021 წ

მკვლელობა კელიაში

განძი, რომლის გამოც 92 წლის ქალი გაგუდეს – მკვლელობის დეტალები

პატიმარი №0578

სანამ საქართველოს პატრიარქი ილია მეორე გახდებოდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით, ოთხი ათეული ეკლესია-მონასტერი ფუნქციონირებდა. მას შემდეგ კი, რაც სათავეში ეკლესიის დღევანდელი საჭეთმპყრობელი მოვიდა, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა და ეკლესია იქამდე მივიდა, სადაც დღეს ვართ – პრაქტიკულად, არ არსებობს სოფელი, ეკლესია რომ არ ფუნქციონირებდეს და თითქმის ყველა მონასტერში სამონასტრო ცხოვრება არ ჩქეფდეს. ადრე ასე არ იყო – საუკეთესო შემთხვევაში, მონასტრის კარი უბრალოდ გამოხურული გახლდათ. უარეს შემთხვევაში კი, ის გარეული თუ შინაური ცხოველების სადგომი იყო. უფრო მეტიც, იყო რამდენიმე მონასტერი, სადაც კელიები ჩვეულებრივ, საცხოვრებელ ფართებად ჩამოარიგეს, სადაც ადამიანები (ძირითადად მარტოხელები) ცხოვრობდნენ და ყოველგვარი ლოცვისა თუ საეკლესიო რიტუალების გარეშე არსებობდნენ, ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა, კელიებში იდგა შეშის ღუმელი, მაგიდა, მცირე სამზარეულო...

იყო შემთხვევები, როცა საცხოვრებლად გაცემულ კელიებში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც ფარულად საეკლესიო ცხოვრებას ეწეოდნენ, მარხულობდნენ, ლოცულობდნენ... სწორედ ერთ-ერთი ასეთი მლოცველი, 92 წლის ქალი იპოვეს გარდაცვლილი „მეზობლებმა“ და მილიციაში დარეკეს.

1979 წლის გაზაფხული იდგა.

„რომ არა მონასტრის ტერიტორია, სამინისტრო ამ საქმეს პირად კონტროლზე არ აიყვანდა, მაგრამ იმის გამო, რომ ხალხში მითქმა-მოთქმა არ დაწყებულიყო, საქმის უმოკლეს ვადებში გამოძიება დაგვავალეს, თანაც უშიშროების კომიტეტიდან ცნობა მოვიდა, გარდაცვლილზე ამბობდნენ, სამონასტრო განძს მიაგნო და მისი მცველი იყოო. სამონასტრო განძი, პრაქტიკულად, ყველა მონასტრის ლეგენდა იყო. ყველგან საუბრობდნენ, რომ კომუნისტების მოსვლის შემდეგ, ეკლესიის ქონება, ძირითადად, მოოქროვილი ხატები გადამალეს და მათ ძებნაში არაერთი ეკლესიისა თუ მონასტრის ეზო იყო გადათხრილი. რეალურად კი, განძი ვერავინ იპოვა. ამიტომ, ჩვენს წარმოდგენაში, ეს მხოლოდ მითი იყო და განძი არ არსებობდა. თუ არსებობდა, გატანილი ექნებოდათ ბოლშევიკებს, რადგან სწორედ მათ დროს გაიძარცვა ეკლესია-მონასტრები“, – გვიყვება საინტერესო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

შეიძლება ითქვას, ქალი ძვლებში იყო დამტვრეული. სიფრიფანა, 40 კილოგრამიც ვერ იქნებოდა, ამიტომ გამოძიებას დარჩა შთაბეჭდილება, რომ გაგუდვის დროს, ქალს ტანზე დააწვნენ და ძვლებიც ამ დროს გაუტყდა. კელია საგულდაგულოდ იყო გაჩხრეკილი, თუმცა რისი წაღება შეეძლოთ ქურდებს, გამომძიებლებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ. სამეზობლომ უთხრა, ამ ქალს შვილიშვილი აკითხავდა, იმას ეცოდინებოდა ნივთების ჩამონათვალიო და სამართალდამცავებმაც შვილიშვილ გოგონას მალე მიაგნეს.

„ხშირად მქონდა გაგებული, რომ მონასტერში რაღაც საგანძური იყო, რომელიც ბებიამ შეინახა. რამდენჯერმე ვკითხე კიდეც, მაგრამ ყოველთვის ეღიმებოდა, არაფერი მაქვს შენახული და თუ ოდესმე რამე გამოჩნდება, მხოლოდ ღმერთის ნებითო. ამიტომ, ყველაფერი ეს ისეთივე მითი მეგონა, როგორც ბევრი სხვა მითი და სერიოზულად არასდროს აღვიქვამდი“, – ეს არის ამონარიდი შვილიშვილის ჩვენებიდან.

სამაგიეროდ, კელიის დეტალურმა ჩხრეკამ აჩვენა, რომ სკივრში არსებულ ქსოვილებზე ოქროს კვალი იყო და კუთხეში ბრილიანტის პატარა თვალიც იპოვეს. ეს აშკარად იმის ნიშანი იყო, რომ სკივრში ძვირფასეულობა ნამდვილად ინახებოდა, თუმცა იმავე შვილიშვილის ჩვენებით, სკივრში ბებია წვნიანის ამოსაღებ ჩამჩას ინახავდა და ამბობდა, ჩემთვის ძვირფასი რელიქვიაა. პატიოსან თვლებზე კი მას წარმოდგენაც არ ჰქონდა. გამოძიება მხოლოდ ძარცვის შესაძლებლობას განიხილავდა და ამ მიმართულებით მუშაობდა, თუმცა ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდა.

როცა მკვლელობა მოხდა, მონასტრის ტერიტორიაზე არავინ იმყოფებოდა ერთი, ასევე, ღრმად მოხუცი ქალის გარდა, რომელსაც დუმილის აღთქმა ჰქონდა დადებული – არაფერს ამბობდა და არავის არაფერზე პასუხობდა. იყო იმის შანსი, რომ მას მკვლელი დაენახა, თუმცა გამომძიებლების კითხვებზე მხოლოდ შორს, სივრცეში იყურებოდა და რეაქცია არ ჰქონდა.

„აღარ ვიცოდი, რა მექნა, ამიტომ დახმარებისთვის საპატრიარქოს მივმართე. საქმის არსი ავუხსენი და ვუთხარი, რომ იქნებ, რომელიმე ეპისკოპოსისთვის ეთქვა მოხუცს ისეთი რამ, რაც გამოძიებას წაადგებოდა. ეპისკოპოსები მოხუცმა იგივე პასუხით გამოისტუმრა, როგორითაც ჩვენ, თუმცა ისევ სასულიერო პირებმა მირჩიეს, მისი მოძღვარი ნახე, ეგებ, იმას უთხრას რამეო. მოძღვარი მალე ვიპოვე“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მოძღვარმა გამომძიებელს ყურადღებით მოუსმინა და უთხრა, თუ თავად არ მოისურვებს, მე აღთქმის დარღვევას ვერ დავაძალებო და ისიც დააყოლა, სამი წელი დარჩა დუმილი და მერე, თუ რამე დაინახა, მოყვებაო. რა თქმა უნდა, სამი წელი გამოძიება ვერ დაიცდიდა და ამიტომ, იმ ადამიანების შესწავლა დაიწყო, ვინც ასე თუ ისე, მოხუცთან რაიმე ურთიერთობაში იყო. დიდი შედეგი არც ამან მოიტანა, ერთი ხელოსანი მიდიოდა, რომელიც შიდა საქმეებში ეხმარებოდა, ხან ლურსმანს მიუჭედებდა, ხან დანას გაულესავდა, თუმცა ამას უანგაროდ არ აკეთებდა, ხან სამ მანეთს ართმევდა, ხან – ხუთს. დაკითხვაზე ხელოსანმა უდარდელი პასუხები გასცა, იმ სოროში ტყუილად რატომ უნდა შევსულიყავი, კვირაში ერთხელ მივდიოდი, თუ რამე ჰქონდა გასაკეთებელი, ვაკეთებდი, თუ არადა, უკან მოვდიოდიო. იმ დღესაც უწევდა ვიზიტი, როცა ქალი მოკლეს, მაგრამ როცა მივიდა, ადგილზე უკვე სამართალდამცავები დახვდნენ და უკან გაბრუნდა.

ეს ძაფიც გაწყდა, თუმცა...

„არ ვიცი, ახლა როგორ არის, მაგრამ მაშინ შს სამინისტროში გენიოსები მუშაობდნენ. ისეთ რამეებს მოიფიქრებდნენ, რიგით მოკვდავებს რომ არ შეეძლოთ. სწორედ სამინისტროში დამიბარეს და ის გეგმა გამაცნეს, რომლითაც უნდა მემოქმედა. მეორე დღეს, ყველა აგენტი ყველა კუთხეში საუბრობდა, რომ მკვლელი იმ მოხუცმა დაინახა, რომელსაც დუმილის აღთქმა ჰქონდა დადებული და გამოძიება ახლა სწორედ მას ელოდა. ჩვენს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დუმილის აღთქმის ვადა ექვს დღეში იწურებოდა. რატომ ექვს დღეში? – სამი დღე ბანალურად ჟღერდა, ერთი კვირა – არარეალურად, შეიძლებოდა ეჭვი გაჩენილიყო, აი, ექვსი დღე კი ექვსი დღე იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ამბის გახმაურებისთანავე, სამართალდამცავებმა ჩასაფრება მოაწყვეს და მშვიდად ელოდნენ, როდის გამოჩნდებოდა მკვლელი. ის, მართლაც, გამოჩნდა, ოღონდ მესამე დღეს და კინაღამ მორიგი მკვლელობა ჩაიდინა. საქმე ის გახლდათ, რომ ოპერმუშაკებმა მასზე ეჭვი ვერ მიიტანეს და მშვიდად მისცეს შესაძლებლობა იმ ოთახში შესულიყო, სადაც მოხუცი ცხოვრობდა.

„მესამე დღეს, ის ხელოსანი გამოჩნდა, ჰარიჰარად მიდიოდა და ოთახშიც ისე დააკაკუნა, თითქოს საკუთარ სახლში იყო. ჩვენ მეორე ოთახის ჭუჭრუტანიდან ვუყურებდით და მშვიდად ვიყავით. ქალმა კარი გააღო, ჭუჭრუტანას მოვცილდით და ამ დროს ხმაური გავიგონეთ, ისევ გავიხედე და ქალი სტუმარს ოთახში არ უშვებდა, ის კი ძალით ცდილობდა შესვლას. მაშინვე გამოვედით სამალავიდან, კაცს ხელები ამოვუგრიხეთ, ქალს ვკითხე – ეს არის-მეთქი და უხმოდ დამიქნია თავი. ახლა უკვე ჩვენი საქმე იყო, მას როგორ გამოვტეხავდით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ხელოსნის სახლის ჩხრეკამ გამოძიებას ვერაფერი მისცა, თუმცა მისი სამსახურის ჩხრეკის შემდეგ, ის ჩამჩა იპოვეს, რომელიც მოკლულის ოთახიდან იყო გამქრალი. ექსპერტმა დასკვნა დადო – ჩამჩა ოქროსია.

„ვიცოდი, რომ ამ მოხუცს რაღაც ნივთები ჰქონდა ნაპოვნი. როცა მასთან მივდიოდი, მუდმივად ვცდილობდი, სახლი გამეჩხრიკა. ეს ჩამჩა როცა ვნახე, მივხვდი, ოქროსი იყო, ხელოსანი ვარ, მეტალს ვცნობ. დავრწმუნდი, რომ განძი მასთან ინახებოდა და იმ დღეს ცოტა ადრე მივედი. როცა ვგუდავდი, წაიქცა და ზედ დავეცი, მერე ყველაფერი გადავატრიალე, მაგრამ ჩამჩის გარდა, ვერაფერი ვიპოვე“, – განუცხადა გამოძიებას დაკავებულმა.

ამის შემდეგ, გარდაცვლილის კელია უშიშროების სამსახურმა აგურ-აგურ დაშალა, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. ერთი ეგ იყო, იატაკის ქვემოთ, სატელეფონო ხაზები გადიოდა და პრაქტიკულად, მთელ მონასტერს მოიცავდა. ვინ და რისთვის გაიყვანა ეს ხაზები, დღემდე გაურკვეველია, ხელოსანს კი მკვლელობისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მოჭიდავემ საუნაში რევიზორი მოკლა

გახმაურებული საქმის დღემდე უცნობი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

„ობეხე“, რევიზორი, ცენტრალური შემოწმება“ – ეს ის სიტყვებია, რომლებიც კომუნიზმის დროს, მაღალჩინოსნებს შიშის ზარს სცემდა. შემოწმების ყველას ეშინოდა, რადგან რეალურად, არ არსებობდა ერთი დაწესებულებაც კი, სადაც ვინმე რამეს არ იპარავდა და სადაც გეგმა მხოლოდ ქაღალდზე არ სრულდებოდა. შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობა მსუყე ქრთამით სრულდებოდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა გეგმის შესასრულებლად, თუ სხვების დასანახად, ვიღაცებს ციხისთვის იმეტებდნენ და თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხაზე იყო საუბარი, საბჭოთა სასამართლოსთვის არც დახვრეტის მუხლი იყო უცხო.

ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ქაოსი დაიწყებოდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს, შემოწმება იმ ბაზას დაადგა, სადაც მზადებას სპორტსმენები გადიოდნენ. ისინი იქ, პრაქტიკულად, რამდენიმე კვირის განმავლობაში ცხოვრობდნენ – ჭამდნენ, ეძინათ, ვარჯიშობდნენ.

სადაც კვების ობიექტია, იქ ფული ყოველთვის „კეთდება“, ამას დაუმატეთ სპორტული ტანისამოსი, ინვენტარი და ლოგიკურად მივალთ იქამდე, რატომ შეშფოთდა ან შეწუხდა ყველა. მით უმეტეს, ორი რევიზორიდან, ორივეს მოუსყიდავის სახელი ჰქონდა. ქალი და კაცი ცალ-ცალკე დააბინავეს, ერთი კვირის შემდეგ, ისინი დირექტორის კაბინეტში მივიდნენ და პირდაპირ თქვეს, რომ დასკვნა ძალიან ცუდი იქნებოდა, დირექტორი კი ციხისთვის უნდა მომზადებულიყო.

„მოკლედ რომ გითხრა, იმ ბაზაზე იყო საუნას ტიპის აბანოც, სადაც ეს კაცი დაპატიჟეს, აქაოდა, წასვლამდე, ორგანიზმს გაიკაჟებთო. ბაზა აჭარისკენ იყო, გარეთ თოვლი, საუნაში – სითბო და ორთქლი და კაცმაც უარი არ თქვა. როდესაც ოთახიდან არ გამოვიდა, კარი შეაღეს და გარდაცვლილი იპოვეს. რა თქმა უნდა, მაშინვე მილიციაში დარეკეს, ადგილზე აჭარელი სამართალდამცავები მივიდნენ, თუმცა რევიზორის მკვლელობა მარტივი დანაშაული არ იყო და ამიტომ, საქმე თბილისს გადასცეს. ჩვენი მოთხოვნით, გვამს ხელი არ ახლეს, ექსპერტიც აქედან წავიყვანეთ და აჭარაში წავედით“, – იხსენებს ზღვისპირეთში, 80-იანი წლების დასაწყისში მომხდარ რეზონანსულ მკვლელობას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ყველაზე უცნაური ის გახლდათ, რომ ექსპერტი ვერც პირველადი დათვალიერების და ვერც სრულყოფილი ექსპერტიზის შემდეგ ვერ მიხვდა, რა იყო მკვლელობის იარაღი. გარდაცვლილს ყელთან, ხორხის ქვემოთ, ერთადერთი შემავალი ჭრილობა ჰქონდა. ჭრილობა, სავარაუდოდ, მრგვალი ფორმის მყარი საგნით მიაყენეს, მაგრამ ეს არ იყო არც ხე, არც – რკინა, არც – პლასტმასი ანუ შესაბამისი კვალი არაფერმა დატოვა და ექსპერტს პირი ჰქონდა დაღებული, ასეთი რამ პრაქტიკაში არ მქონიაო, გვიამბობს ბატონი თენგიზი.

იმ ოთახის დათვალიერების დროს, სადაც მკვლელობა მოხდა, ექსპერტმა თმის ორი ღერი იპოვა, ორივე გრძელი და შეღებილი. ცხადი გახლდათ, 55 წელს გადაცილებულ რევიზორს, აბანოში ქალი ჰყავდა და გამოძიებამ ეჭვი მის მეწყვილეზე მიიტანა. მით უმეტეს, თმის ფერი აშკარად ემთხვეოდა, მაგრამ ექსპერტიზამ აჩვენა, რომ თმა მეორე რევიზორის არ იყო.

ყველაფერი თავდაყირა მას შემდეგ დადგა, რაც რევიზორის ცოლმა ჩვენება მისცა, გამორიცხულია, მას ქალი ჰყოლოდა, რადგან ორი წლის წინ, რაღაც უცნაური დაავადება გადაიტანა, რის შემდეგაც ქალთან ურთიერთობა აღარ შეეძლო, მე ის ძალიან მიყვარდა და ამის გამო დაშორება არც მიფიქრია, თანაც რაღა დროს ჩვენი ეგეთები იყო, 60 წელს მივუკაკუნეთო.

„საერთოდ დავიბენით. თუ რევიზორს ქალთან ურთიერთობა არ შეეძლო, რა უნდოდა ქალს მის ოთახში და თანაც, ხომ ლოგიკური იქნებოდა, რომ ოთახში, სადაც ორთქლის აბაზანებს იღებდნენ, ქალიცა და კაციც, მაქსიმუმ, ზეწრებით იქნებოდნენ? იყო კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი – ბაზის ტერიტორია დახურული გახლდათ ანუ იქ სპეციალური საშვის გარეშე, ვერავინ მოხვდებოდა და გარედან ქალის შემოყვანა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. ამას დაამატეთ ისიც, რომ ყველაზე მეტად, რევიზორის სიკვდილი დირექტორს აწყობდა, მაგრამ ცოცხალი იყო მეორე რევიზორი, რომელიც დასკვნას ნამდვილად არ შეცვლიდა. აქედან გამომდინარე, ბაზის დირექტორი დავკითხეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

დირექტორის დაკითხვამ მხოლოდ ის გამოააშკარავა, რომ ბაზაზე ფინური საუნის მოწყობა მისი ინიციატივა არ იყო და ამის გაკეთება ზემოდან უბრძანეს. მისივე თქმით, არცთუ იშვიათად, საუნას აჭარელი მაღალჩინოსნები სტუმრობდნენ იმის იმედად, რომ იქ სხვა ვერავინ შევიდოდა და მშვიდად ატარებდნენ დროს. არ იყო აუცილებელი, მაინცდამაინც ქალები მიეყვანათ, უბრალოდ, საძმაკაცო მიდიოდა, ორთქლის აბაზანებს იღებდა, ქეიფობდა... დირექტორმა ისიც თქვა, აქ ისეთი ადამიანები მოდიან, რევიზორის მკაცრი დასკვნის ნამდვილად არ მეშინოდა და მას მოსაკლავად არ გავიმეტებდი, თუ გავიმეტებდი, მეორესაც მივაყოლებდი, რადგან ერთის სიკვდილით, ხეირი არ მექნებოდაო. რაოდენ მწარეც უნდა ყოფილიყო მისი სიტყვები, დირექტორი სიმართლეს ამბობდა. ასევე, იმასაც ამტკიცებდა, გამორიცხულია, ჩემი ნებართვის გარეშე, ქალი გარედან შემოსულიყო, თუ ვინმე მასთან ერთად აბაზანას იღებდა, ის მაშინაც ტერიტორიაზე იყო და ახლაც ტერიტორიაზე იქნებაო.

გამოძიებამ ბაზაზე მყოფი ყველა გოგონა შეკრიბა და მათგან ისინი აარჩია, ვისაც აბაზანაში ნაპოვნი თმის ღერის ფერის თმა ჰქონდა. ექსპერტმა ყველას ჩამოუარა, თუმცა მისი წვალება ამაო გამოდგა – ერთ-ერთმა გოგონამ მკაფიოდ თქვა, აბაზანაში რევიზორთან ერთად მე ვიყავიო. რაღა თქმა უნდა, ის დაკითხვაზე წაიყვანეს.

„ბაზის სასადილოში, რევიზორი შემთხვევით გავიცანი. სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა, მართლაც მამა-შვილური საუბარი გამიბა, ბევრ საკითხში პროფესიონალის დონეზე იყო ჩახედული, ლექციასავით წამიკითხა რამდენიმე თემა, რამაც ძალიან დამაინტერესა. ამის შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე შევხვდი, ორჯერ – სასადილოში, ერთხელაც ბაზის ტერიტორიაზე ვისეირნეთ. აბაზანაში კი შემთხვევით აღმოვჩნდი, ვარჯიშიდან დავბრუნდი, როცა ის დავინახე და ღიმილით მითხრა, თუ გინდა, ორთქლის აბაზანა ერთად მივიღოთ, ხომ იცი, წესიერი კაცი ვარ, არაფერს ვიკადრებო. არ ვიცი რატომ, მაგრამ რაღაცნაირად დავუჯერე და აბაზანაში შევყევი. ვსაუბრობდით, მერე მითხრა, ტანი უნდა გავიხეხო და დამტოვეო, მეც წამოვედი და მერე გავიგე, რომ მოკლეს“, – ეს არის ამონარიდი გოგონას ჩვენებიდან.

მისი სიტყვების დაჯერება ცოტა წარმოუდგენლად ჩანდა და გოგონა ექსპერტიზაზე გაუშვეს. ექსპერტს უნდა დაედგინა, ხომ არ ჰქონდა მას სქესობრივი კავშირი ან სხეულზე სისხლნაჟღენთები, რაც გაუპატიურების მცდელობას მოასწავებდა. ექსპერტიზამ დასკვნა დადო – გოგონა ლამის წმინდანად შერაცხა ანუ ყოველგვარი ინტიმი და ძალადობის მცდელობა გამოირიცხა. სამართალდამცავები ჩიხში შევიდნენ. ყველა ეჭვმიტანილი ხელიდან იმ ფიფქებივით გაუქრათ, რომელიც გარეთ მრავლად ცვიოდა. დირექტორმაც ღიმილით შენიშნა, კიდევ კარგი, გოგონა იმ რევიზორთან არ მაიმუნობდა, თორემ მაგას ისეთი ეჭვიანი შეყვარებული ჰყავს, კიდევ ერთ მკვლელობას არ ავცდებოდითო.

შეყვარებული მოჭიდავე აღმოჩნდა, რომელიც იმავე ბაზაზე ცხოვრობდა, თუმცა ბიჭებისა და გოგონების საცხოვრებლები უმკაცრესად იყო გამიჯნული და ასევე, მკაცრად კონტროლდებოდა. დაკითხვაზე ამჯერად მოჭიდავე დაიბარეს.

„დაახლოებით, ორმეტრიანი მუტრუკი უდარდელად შემოვიდა, სკამზეც უდარდელად ჩამოჯდა და მივხვდი, დაკითხვას აზრი არ ექნებოდა, რადგან ყველაფერს უარყოფდა. მოულოდნელად, მზერა ჩემს მაგიდაზე გააშტერა და მის მზერას გავყევი – შეყვარებულის დასკვნას მოჰკრა თვალი. ფურცელი მაშინვე ამოვაბრუნე და შევატყვე, არ მოეწონა. ამიტომ, კითხვა პირდაპირ დავუსვი, ის კაცი იმიტომ მოკალი, შენს შეყვარებულს საუნაში რომ დაათრევდა-თქო? სახე შეეცვალა, მერე თქვა, ტყუილიაო და მე კიდევ ის ფურცელი ავაფრიალე, რა ტყუილია, აგერ ექსპერტი მიწერს, რომ ბოლო ერთი კვირაა, იმ გოგოს მუდმივი ინტიმური კავშირი აქვს-მეთქი. სახე წაეშალა, გალურჯდა, მერე გაფითრდა და ბოლოს თქვა, სწორად მომიკლავსო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ეს უკვე აღიარება იყო და დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. როგორც მოჭიდავემ თქვა, ის გოგო მისი საცოლე იყო, რამდენჯერმე დაინახა, მოხუც რევიზორს რომ ტკბილად ესაუბრებოდა, იეჭვიანა და თვალთვალი დაუწყო. საუნაში რომ შევიდა, ამან სულ გადარია, გარეთ გამოვიდა, ინერვიულა, შემდეგ კი ორივეს მოკვლა გადაწყვიტა და უკან შებრუნდა, მაგრამ გოგო აღარ დახვდა, მხოლოდ რევიზორი იყო წამოწოლილი ხის თაროზე, ამიტომ ის მოკლა და გოგოს საძებნელად წავიდა, მაგრამ ვერ იპოვა. გამოძიებას ყველაზე მეტად მკვლელობის იარაღი აინტერესებდა. მოჭიდავემ არ დამალა – აბანოს შესასვლელთან, სახურავიდან ყინულის რამდენიმე ლოლო იყო ჩამოკიდებული, ერთი ცალი მოვტეხე, ყელში ის შევარჭე და იქვე დავაგდეო. ექსპერტების მისვლამდე ყინული გადნა და მკვლელობის იარაღიც გაქრა.

სასამართლომ მოჭიდავეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი დასკვნის მიუხედავად კი, ბაზის დირექტორს ხელი არავინ მოჰკიდა. როგორც ჩანს, ის საუნა მართლაც ზემდგომების მითითებით იყო აშენებული...

თაღლითობა სამართალდამცავის სახელით

ბათო ჯაფარიძე

საქართველოში თაღლითობა ნაკლებად იყო გავრცელებული. ამის მიზეზი კი ჩვენი ქვეყნის მცირე მოსახლეობა გახლდათ. ახლაც ხომ ასეა – ყველა ყველას იცნობს და დამალვა შეუძლებელია. ამიტომ, კომუნისტების დროს, ადამიანები თაღლითობასა და ერთმანეთის მოტყუებას ერიდებოდნენ, თორემ სახელმწიფოს ატყუებდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა და ყველა ისე უყურებდა, როგორც მეწველ ძროხას, რომელსაც არაფერი შეეტყობოდა, თუ ცოტას მოპარავდნენ.

ვინ იყო პათანატომი, რომელიც ქალებს შურისძიების მიზნით აუპატიურებდა

„ერთ საღამოს, შინ გვიან მივედი, როგორც წესი, ცოლი გაფრთხილებული მყავდა, რომ არ დამლოდებოდა, რადგან იყო იმის შანსი, რომ 2-3 დღე საერთოდ არ მივსულიყავი, თუმცა იმ დღეს ფეხზე დამხვდა, სამზარეულოში ყავის ჭიქებს ცლიდა და მელოდა. ტირილით მითხრა, მილიციამ დამაკავა და 200 მანეთს მთხოვსო. კინაღამ გადავირიე – ჩემს ანუ განსაკუთრებულ საქმეთა მთავარი გამომძიებლის ცოლს, ვიღაც 200 მანეთს სძალავდა, თან სწორედ იმ მომენტში, უცნაური გაუპატიურებების სერიას ვიძიებდი და ამ დროს ახალი პრობლემა“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

როგორც მეუღლე ამბობდა, ქუჩაში მიდიოდა, როცა ახალგაზრდა კაცმა გააჩერა და ლამის ტირილით უთხრა, რომ გაქურდეს, ის კი ბათუმში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც ორსული ცოლი ელოდა. გზის ფულის ანუ სულ რაღაც 20 მანეთის სანაცვლოდ, ვერცხლის საყურეებს სთავაზობდა, რომელიც ძალიან, ძალიან ლამაზი იყო. ქალმა დააპირა, სასოწარკვეთილი ადამიანისთვის ფული ისე მიეცა, მაგრამ კაცმა საყურეები ლამის ძალით ჩაუდო ჯიბეში, მადლობა გადაუხადა და წავიდა. ზუსტად ათი მეტრის გავლის შემდეგ, ქალს წინ იმ უბნის რწმუნებული გადაუდგა, იქვე ქუჩაში გაჩხრიკა, საყურეები უპოვა და უთხრა, რომ ისინი მოპარული იყო და სამართალდამცავები ეძებდნენ. ქალს იქვე მოურიგდა, მეორე დღეს 200 მანეთი უნდა მიეტანა, სხვა შემთხვევაში, საქმეს აღძრავდა და როგორც ნაქურდალის გამსაღებელს, ისე დააპატიმრებდა. მძევლად უბნის რწმუნებულმა ქალის პასპორტი დაიტოვა. როგორც ბატონ თენგიზს ცოლმა უთხრა, სპეციალურად არ დაასახელა, ვინ იყო მისი მეუღლე, რადგან ეშინოდა, ქმრისთვის პრობლემები არ შეექმნა.

„გაოგნებული დავრჩი. უბნის რწმუნებულმა ცოლს მილიციის მოწმობაც უჩვენა, ცოლმა სახელი და გვარი დაიმახსოვრა. მაშინვე გადავამოწმე და ჰოი, საოცრებავ, ასეთი თანამშრომელი, მართლაც, არსებობდა. ვერ მოვისვენე, პირადი საქმე ერთ საათში ხელში მეჭირა, ცოლს სურათი ვანახე და თავი დამიქნია, ეს არისო. ამ დროს კოლეგამ დამირეკა და მითხრა, ხომ არაფერი გეშლებათ, ეგ უბნის რწმუნებული ორი კვირაა, შვებულებაშია და ოჯახთან ერთად, თბილისიდანაა წასული, სოფლად ისვენებსო. კოლეგის მჯეროდა, მაგრამ ცოლის უფრო მჯეროდა, ამიტომ მეორე დღეს, ცოლს 200 მანეთი ჩავუთვალე და გადავაცემინე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ის მეორეც მასთან ერთად მოქმედებდა და ისიც უნდა დაგვეკავებინა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ფოტოებზე აღვბეჭდეთ და საქმეც ოფიციალურად აღვძარით. იმავე დღეს, ორი თანამშრომელი ქალი გავუშვით იმავე უბანში, სადაც საღამოს, ერთ-ერთს ვერცხლის საყურეები შესთავაზეს. სპეცოპერაცია წარმატებით დასრულდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როგორც გაირკვა, უბნის რწმუნებული მართლაც დასასვენებლად იყო ოჯახთან ერთად, მისი ფორმა კი ტყუპისცალმა ძმამ მოირგო და გადაწყვიტა, ცოტა ფული ეშოვნა. სანამ გამომძიებლის ცოლს გადაეყრებოდნენ, შვიდი ადამიანის გაცურება მოახერხეს და 1400 მანეთიც ჩაიჯიბეს. ფულის უდიდესი ნაწილი ამოღებულ იქნა, ორივე თაღლითი გაასამართლეს, ძმა კი სამართალდამცავი ორგანოებიდან დაითხოვეს, რადგან ის ფორმასა და მოწმობას არ გაუფრთხილდა.

რაც შეეხება გაუპატიურების საქმეს, უცნურობა იმაში მდგომარეობდა, რომ გაუპატიურების შემდეგ, მოძალადე, გოგონებს პირში ლურჯ ძაფს ჩრიდა და გარბოდა. ძაფი საკმაოდ მსხვილი იყო და ექსპერტიზამ დაადგინა, ის ქალის თავსაფრის ბოლოებზე მიმაგრებული ქსოვილი გახლდათ. ასეთი თავსაფარი ათასობით გამოდიოდა და მხოლოდ მისი საშუალებით იდენტიფიცირება გამორიცხული იყო. სამართალდამცავებს დღე და ღამე არ ეძინათ, რადგან კვირაში ერთხელ, მთელი დედაქალაქის მასშტაბით, დამნაშავე ახალ მსხვერპლს პოულობდა და უკვე რვა საქმე დაგროვდა, თანაც მილიციას ეჭვი ჰქონდა, რომ რამდენიმე მსხვერპლმა განცხადება, უბრალოდ, არ დაწერა, რადგან სახელს გაუფრთხილდა.

„აზრი არ ჰქონდა, ჩვენს რომელიმე თანამშრომელ ქალს ემორიგევა და გავყოლოდით, რადგან მოძალადე მთელი თბილისის მასშტაბით მოქმედებდა – სხვადასხვა უბანსა და ლოკაციაზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთი ამოჩემებული ადგილი არ ჰქონდა. შემთხვევითობის შესაძლებლობა კი იმდენად მცირე იყო, ამისთვის პერსონალის მოცდენა არ ღირდა. ერთადერთ ვარიანტად ის რჩებოდა, რომ დამნაშავე ან ცხელ კვალზე დაგვეკავებინა, ან ისეთი სამხილი დაეტოვებინა, რომ მისი მოძებნა და გაშიფვრა ადვილი ყოფილიყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

საინტერესო ის გახლდათ, რომ რამდენიმე ქალ-ბატონს მოძალადე პირდაპირ კი არ დაესხა, არამედ, გაეცნო, სახლამდე გაცილება შესთავაზა, მეორე დღეს პაემანი დაუნიშნა და შემდეგ გააუპატიურა. მილიციას ფოტორობოტი ჰქონდა, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ლამის ჯიბის ქურდების სახეებიც კი შეადარეს, დაასკვნეს – მოძალადე ძალოვნებისთვის უცნობი პიროვნებ იყო ანუ ნასამართლევი არ ყოფილა.

კვანძი მოულოდნელად გაიხსნა: ერთ დღეს, პირდაპირ შს სამინისტროში, ქალი მივიდა, რომელმაც განაცხადა, რომ მოძალადე იპოვა და ის ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობდა.

„უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეჭვმიტანილი მორგის თანამშრომელი, პათანატომი გახლდათ. ერთ-ერთი მსხვერპლის მეგობარს შვილი დაეღუპა, მორგში გაჰყვა და სწორედ იქ დაინახა კაცი, რომელმაც გააუპატიურა. საბედნიეროდ, მან არაფერი მოიმოქმედა, მაქსიმალურად შეეცადა, კაცს არ შეემჩნია და შემდეგ, იმის გამო, რომ სამართალდამცავებსაც ბოლომდე არ ენდობოდა, პირდაპირ სამინისტროში მივიდა. მის მიერ ამოცნობილი პიროვნების პირდაპირ დაკავება არ გამოდიოდა, რადგან სამხილი არ გვქონდა, ამიტომ თვალთვალი გადაწყდა“,-იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა გეგმაც შეიმუშავეს, სამინისტროს სამბოს ინსტრუქტორი ქალბატონი შესაბამისად გამოაწყვეს და იმ გზაზე გაუშვეს, სადაც ეჭვმიტანილი მოძრაობდა ხოლმე. ქალბატონს ექვსი ოპერმუშაკი დაჰყვებოდა და აკონტროლებდა. პათანატომი ანკესს მესამე დღეს წამოეგო, სკამზე ეულად მჯდომ ქალს მიუახლოვდა და გაიცნო, შემდეგ სახლამდე მიაცილა და მეორე დღისთვის პაემანი დაუთქვა. სამბოს ინსტრუქტორი გაოცებული იყო, რომ არ ვიცოდე, ვინ არის, ეგებ, შემყვარებოდა კიდეც, ისეთი თავაზიანი და დახვეწილიაო.

მეორე დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მესამე დღეს კი კაცმა პაემანი შებინდებისას დანიშნა. ოპერმუშაკები შორიდან უყურებდნენ, როგორ შევიდა სკვერის სიღრმეში წყვილი, ისიც კარგად დაინახეს, როგორ ამოიღო კაცმა ჯიბიდან ლურჯი თავსაფარი, როგორ შემოხვია ყელზე და როგორ არ უშვებდა თავსაფრის ბოლოებს ხელს. მხოლოდ ნახევარი წუთის შემდეგ მიხვდა ერთ-ერთი ოპერმუშაკი, რომ კაცი ქალს ხელსახოცით ახრჩობდა და დანარჩენებს ნიშანი მისცა. რამდენიმე წამის შემდეგ, ეჭვმიტანილი ბორკილებდადებული მიწაზე ეგდო, გრძნობადაკარგულ ქალს კი კოლეგები ასულიერებდნენ. მერე გაირკვა, ადამიანის სხეულის ზედმიწევნით მცოდნე პათანატომი, ქალებს ყელის არეში აჭერდა თითებს, აძინებდა, შემდეგ კი აუპატიურებდა. დაკავებული განყოფილებაში მიიყვანეს და 24 საათის განმავლობაში, კითხვა არ დაუსვამთ. ეს გამომძიებლის გადაწყვეტილება იყო, სურდა, დაკავებულს მშვიდად ეფიქრა, შესაბამისი დასკვნები გაეკეთებინა და ან ბოლომდე ჯიუტად დაეცვა საკუთარი თავი და უდანაშაულობა ემტკიცებინა, ან პირველივე დაკითხვაზე, ყველაფერი ეღიარებინა.

„როცა დაკავებული დაკითხვაზე შემოიყვანეს, მაგიდაზე, გამჭვირვალე ცელოფანში ჩადებული ლურჯი თავსაფარი მედო. ცალი თვალით დახედა, ცოტა შეცბა და მაშინ ვიგრძენი, აღსარებას ჩამაბარებდა. ასეც მოხდა, დაიწყო და აღარ გაჩუმდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

თურმე, პათანატომი დაქორწინებას აპირებდა და ქალმა პირდაპირ მმაჩის ბიუროს ეზოში მიატოვა, სხვას მივყვებიო. წინა დღეს, ეს თავსაფარი დიდი მოწიწებით აჩუქა, დედაჩემს ზუსტად ასეთი ჰქონდა, ძლივს ვიშოვეო და თავსაფარი საცოლემ მმაჩის ეზოში უკან დაუბრუნა. შურისძების გეგმაც მაშინ დაებადა და გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი ქალისთვის მიეყენებინა ტკივილი, რადგან მისთვის უკვე ყველა ქალი უწმინდური იყო. ისიც თქვა, გარდაცვლილების გაუპატიურებაც მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, გული არ მიმივიდაო. სამართალდამცავები იძულებულები გახდნენ, დაკავებულისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაეტარებინათ. ექიმებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ ჯანმრთელი გახლდათ.

პათანატომს სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა ოთხი წლის შემდეგ, ის ციხის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით გარდაიცვალა.

ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაციისთვის სასჯელი მკაცრდება — შსს-ს მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკანონმდებლო ცვლილების პროექტი მოამზადა, რომელიც მთავრობას წარედგინა. კანონპროექტის მიხედვით, მკაცრდება ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებების გასაღებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელები.

ბოლო პერიოდის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დღეს მოქმედი სანქცია სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შემაკავებელი ფუნქციის შესრულებას. ნარკოტიკული საშუალების გასაღებით მიღებული მნიშვნელოვანი ფულადი სარგებელი, უმეტესად, ხელს უწყობს ახალი დანაშაულის ჩადენას და ამ სფეროში არაერთი პირის ჩართვასაც.

სწორედ ამ ფაქტორებითაა ნაკარნახევი სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის გამკაცრება ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ.

წარდგენილი კანონპროექტით, ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ოდენობა 6-დან 10 წლამდე გაიზრდება.

ასევე, 12-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება ის პირი, ვინც დიდი ოდენობით გაასაღებს ნარკოტიკულ საშუალებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად იზრდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დადგენილი სასჯელი. კერძოდ, თუ დღეს მოქმედი რედაქციით, აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირისთვის გათვალისწინებულია 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, პროექტის თანახმად, ეს ვადა 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შემუშავებული ცვლილებების პროექტით, ასევე, მკაცრდება სანქციები ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისთვის.

წარმოდგენილი ცვლილებები სრულად იზიარებს საუკეთესი ევროპულ გამოცდილებას, მათ შორის, ისეთი ქვეყნების, როგორებიცაა გერმანია, ავსტრია, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი და ა.შ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა და უახლოეს დღეებში, საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული მ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ტარების ბრალდებით, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზაზე დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს: ქარხნული წესით დამზადებული – NORINCO MODEL 213 მოდელის პისტოლეტი, ასევე, ამავე იარაღისათვის განკუთვნილი, ქარხნული წესით დამზადებული 8 ცალი ვაზნა. ხოლო, მისი კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია: ტოკარევის TT კონსტრუქციის პისტოლეტი და ამავე იარაღისათვის განკუთვნილი 8 ცალი საბრძოლო ვაზნა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ტარების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ აჭარაში ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა — ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით „სუბოქსინი“

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორებისა და დეტექტივების სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ბათუმში, ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი: 1983 წელს დაბადებული თ.ქ. და 1976 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი კ.ჩ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ თ.ქ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავა.

სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელეს თ.ქ.-სგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ თ.ქ.-ის მიერ საკონტროლო შესყიდვების დროს გაყიდული, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 115 აბი და ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

რაც შეეხება კ.ჩ.-ს, პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 29 აბი და კ.ჩ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაურმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

9 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად, „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში“, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

წელს, ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავია.

პოლიციამ ასპინძაში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა — დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული ვ.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუზმარეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ფერმაში მწყემსად მუშაობს, ურთიერთშელაპარაკებისას, ამავე ფერმაში მომუშავე მწყემსს – 1983 წელს დაბადებულ ს.ს.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, გულ-მკერდის არეში ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მწყემსი მომხდარიდან მალევე, ასპინძის მუნიციპალიტეტში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. დაკავებული დანაშაულს აღიარებს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

კატასტროფა – მოჭიდავეები ლიცენზიის გარეშე დარჩნენ

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, ბოლო სალიცენზიო ტურნირი გაიმართა. ოლიმპიადის ლიცენზია იმ მოჭიდავეებს უნდა მიეღოთ, რომლებიც, მინიმუმ, ფინალში გავიდოდნენ. სამწუხაროდ, ქართული დელეგაციისთვის ეს ტურნირი წარმოუდგენლად ცუდი შედეგით დასრულდა. რიგითობით მივყვეთ:

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, ლადო ხინჩეგაშვილი კორონავირუსის გამო ვერ გაჰყვა და მისთვის ოლიმპიადა დასრულდა. მის ნაცვლად, ბექა ღომთაძე წავიდა, თუმცა ლიცენზიის მოპოვება ვერ მოახერხა. საკუთარი შეხვედრები დათმეს ოთარ გოგავამ და სანდრო ამინაშვილმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2021 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში საქართველოს -57, -65 და -86 კილოგრამებში წარმომადგენელი არ ეყოლება. საქართველოს ღირსებას ავთანდილ კენჭაძე (-74), ელიზბარ ოდიკაძე (-97) და გენო პეტრიაშვილი (+125) დაიცავენ. პრაქტიკულად, იგივე დაემართათ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს. ამ სტილშიც ოლიმპიადაზე მონაწილე მხოლოდ ოთხ წონით კატეგორიაში გვეყოლება. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ -87 კილოგრამში, ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებას კიდევ ორი ქართველი ცდილობდა, თუმცა ორივე სხვა ქვეყნის სახელით. რუსთა ფალავანი დავით ჩაკვეტაძე, რომელიც რიოს ოლიმპიადის გამარჯვებულია, ფინალამდე, სერბეთის სახელით მოასპარეზე ზურაბ დათუნაშვილმა არ მიუშვა. შედეგად, ჩაკვეტაძე ლიცენზიის გარეშე დარჩა, დათუნაშვილი კი, რომელმაც ორი კვირის წინ, ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო, ოლიმპიადაზე იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის მოჭიდავეა, რომელიც საქართველოდან ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტთან, გეგა გეგეშიძესთან კონფლიქტის გამო წავიდა სერბეთში.

ბორჯღალოსნებს მსოფლიო ჩემპიონები გამოსცდიან

საქართველოს რაგბის კავშირი
GEORGIA RUGBY UNION

2019 წლის 2 ნოემბერს, სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ამ ტიტულს, მინიმუმ, მომავალ მსოფლიო პირველობამდე ვერავინ შეეცილება. მას შემდეგ, წელიწადნახევარი გავიდა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ერთი შეხვედრაც არ გაუმართავს. ახლა კი, მათმა თავკაცმა ორი ტესტ-მატჩი დაგეგმა, რათა მომავალი ტურნირებისთვის მოემზადოს და მეტოქედ... საქართველოს ნაკრები აირჩია.

„საქართველოს ნაკრები ისეთი სიძლიერისაა, რომ მოდუნების უფლებას არ მოგვცემს. მათ ძალიან კარგი მოთამაშეები ჰყავთ და ქართველებთან ასპარეზობის დროს, შესაძლებლობა გვექნება, ახალი სქემები დავხვეწოთ“, – განაცხადა აფრიკელთა დამრიგებელმა.

მატჩები 3 და 10 ივლისს, სამხრეთ აფრიკაში გაიმართება და ეს გამოცდილება ბორჯღალოსნებს ძალიან რომ წაადგებათ, თქმა არ უნდა.

13 მაისი ანზორ გაბიტაშვილის გარეშე

არ აქვს მნიშვნელობა, ფეხბურთი გიყვარს თუ არა, 1981 წლის 13 მაისი ყველა ქართველს ახსოვს. ამ დღეს, თბილისის „დინამომ“, ისტორიაში პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად, პირველი ევროპული ჯილდო მოიგო. ნოდარ ახალკაცის გუნდმა, თასების მფლობელთა თასის ფინალში, იენის „კარლ ცაისი“ დაამარცხა და სანუკვარი თასი თბილისში ჩამოიტანა.

ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი მატჩის ბოლოს მოხდა, როცა მსაჯს, რიკარდო ლატანცის „დინამოს“ ფიზიოთერაპევტმა, ანზორ გაბიტაშვილმა ბურთი ხელიდან გამოსტაცა და გაიქცა. ის ბურთი შემდეგ საქართველოში ჩამოიტანეს და დღემდე, „დინამოს“ მუზეუმში ინახება. სამწუხაროდ, ბატონი ანზორი იმ განუმეორებელი დღის 40 წლისთავს ვერ დაესწრო – 82 წლის ასაკში, გაბიტაშვილი გარდაიცვალა.

მაკგრეგორი აღარ ხუმრობს – „სელტიკი“ ჩემია!

წესების გარეშე ბრძოლაში ყველაზე ცნობილი და პოპულარული მებრძოლი, კონორ მაკგრეგორი გასულ კვირას ამბობდა, ძალიან მინდა საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ აქციები შევიძინოო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ასეთი დონის კლუბის აქციების შეძენა მისთვისაც კი აუხდენელი ოცნებაა. ინგლისური გრანდი 2 მილიარდ ფუნტზე მეტს ფასობს, მაკგრეგორს კი კარიერის განმავლობაში, ამის მეოთხედიც არ აქვს გამომუშავებული. თუმცა, ისე ჩანს, კონორი გაჩერებას არ აპირებს და თვალი შოტლანდიის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და ტრადიციულ კლუბს, გლაზგოს „სელტიკს“ დაადგა. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და უდიდესი ალბათობით, წარმატებითაც დასრულდება.

ისტორიულად, „სელტიკში“ ირლანდიური ელემენტი ძლიერია. ეს ბრიტანელი კათოლიკების კლუბია და ტრადიციულად, ირლანდიაში ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. მაკგრეგორს არც ამჯერად დაუკონკრეტებია, რა წილის შესყიდვაზეა საუბარი – საკონტროლო პაკეტზე, თუ მხოლოდ წილზე.

ბათუმი საფეხბურთო ევროპაა

საქართველოს ეროვნული ლიგის გასული ტურის ცენტრალური შეხვედრა ბათუმში გაიმართა. ვიცე-ჩემპიონმა ბათუმის „დინამომ“ ჩემპიონი თბილისის „დინამო“ მიიღო. გარდა იმისა, რომ მატჩი საინტერესო სანახაობას გვპირდებოდა, ამ შეხვედრით, ოფიციალურად გაიხსნა ბათუმის ცენტრალური სტადიონი, რომლის ასაშენებლად არაერთი მილიონი ლარი დაიხარჯა. პირდაპირ ვთქვათ, სტადიონმა მოლოდინი გაამართლა, ის საუცხოოდ გამოიყურება, მასზე თამაში ერთი სიამოვნებაა და...

ბათუმურ კლუბს დღეს ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს. რაც მთავარია, ეს გულშემატკივრები სტადიონზე მუდმივად დადიან და საყვარელ კლუბს ამხნევებენ. ასე იყო ამჯერადაც და აჭარულ სარბიელზე გადაღებულმა ფოტომ მთელი ევროპა მოიარა. ყველა აღიარებდა, რომ პანდემიის პირობებში, მაშინ, როცა ყველგან ყველაფერი ჩამკვდარია, ეს კადრები მომავლის იმედს იძლევა. მართლაც, ბათუმის სტადიონი, ნამდვილად საფეხბურთო ევროპის შუაგულს მოგაგონებთ.

შეხვედრას რაც შეეხება, ის მასპინძელთა გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.



ART-პოეზია

ომარ ხაიამის რობაიები

1

მოდი, გული გამიხარე, მოდი ჩემთან, ჩემო კარგო,
იქნებ შენი სილამაზით ჩემს ვაებას რამე არგო?!
შენთან მინდა მოვილხინო, შევსვა ერთი დოქი ღვინო,
სანამ დოქად გადამზელენ, დოქში მინდა თავი ჩავრგო.

2

ხვალინდელ დღეზე რადგან პასუხს ვერავინ აგებს,
შენს სევდიან გულს, ღვინის გარდა, ვერარა არგებს;
მთვარიან ღამეს შევსვათ ღვინო, რადგან ეს მთვარე
მუდამ იქნება... ჩვენ კი ვერსად ვეღარ მოგვაგნებს.

3

ყურანის კითხვა თუმცა ბრძენი ხალხის ხვედრია,
მათაც არ ესმით ის, რაც ძნელად მისახვედრია;
ჯამის ფსკერზე კი რაგინდ ძველი ეწეროს ლექსი,
რომ ვერ გაიგოს, მე ჯერ კაცი არ შემხვედრია.

4

შენ ღვინის სმას თუ გიკრძალავს შენი საქმე, წონა, გვარი,
ჩვენი მაინც არ გაკიცხო შვება, ღვინით მონაგვარი;
შენ სიფხიზლე ნუ გგონია სიმდიდრე და მონაგარი _
პური შენი ბატონია, ჩვენთვის ღვინო მონა არი.

5

ვნების აკვანი თუმცა გულში ბევრჯერ დაგვერწა
და სიყვარულის ალმურითაც სახე აგვეწვა,
მაინც არ ვიცით, თიხით შექმნილ მოკვდავთა შორის
მარადისობის მოქანდაკემ რისთვის ჩაგვძერწა.

6

მუტრიბი მღერის, მე ნანგრევში ვაგდივარ მთვრალი
და ღვინოს ნატრობს გული, სული, ბაგე და თვალი;
არც შენდობა მსურს, არც მაშინებს ცოდვა და ბრალი,
არ მახსოვს მიწა და ჰაერი, ცეცხლი და წყალი.

7

ჯემშიდიც და ბარამ-გურიც ფლობდნენ კოშკს თუ კამარებს,
დღეს კი მათში თავის მოდგმას ჯეირანი ამრავლებს;
ჯერი ედგათ ჯეირნებით გასაძღომი ბარამებს,
მაგრამ დადგა ჯერი ნებით თვით აძღობდნენ სამარეს.

8

თავზედ ღრუბელი დამდგომია და ცრემლებს მაღვრის,
თან მეუბნება: „ეს ცხოვრება უღვინოდ არ ღირს!“
დღეს თუ სხვის საფლავს ჩვენ გავთელავთ ცეკვა-თამაშით,
ხვალ ჩვენს საფლავზე სხვას ნახავენ, ქეიფით დაღლილს.

9

ახლა, როცა შენი ვარდის აყვავების წელია,
შენ უღვინოდ რატომ ზიხარ, რატომ მოგიწყენია?
ეს საწუთრო მუხთალია, ავია და ძველია,
მოილხინე, ასეთი დღის კვლავაც პოვნა ძნელია.

10

დღეის ფიქრით ხვალინდელი დღე ვერსაით ვერვინ ჰპოვა,
ეგ ნაღველიც შენმა გულმა სულ ამაოდ დაიგროვა;
რაც წავიდა, გუშინ იყო და ვინ იცის, ხვალ რა მოვა,
წარსულზე და მომავალზე განა ღირსღა შენი გლოვა?!

11

ვინც შვილი იყო წუთისოფლის, შმაგის თუ მშვიდის,
კვალი ამაოდ ძებნა ოთხის, ექვსის თუ შვიდის...
ღვინო დალიე, არვინ იცის, რა გზით მოხვედი,
იმხიარულე, არვინ იცის, ვინ საით მიდის.

12

შენი სიავით ჟამთასრბოლავ, ბევრს უკვნესია,
უსამართლობა ოდითგანვე შენი წესია,
მიწის წიაღში, ო, რამდენი უძვირფასესი
იაგუნდი და მარგალიტი დაგითესია.

13

გულო, საწუთროს შენი კვნესა არა სწყინდება
და ტკბილი სულიც მალე სადღაც გაგიფრინდება;
მიტომაც გიჯობს ამ მდელოზე ილხენდე ერთხანს,
სანამ ეს მდელო შენს საფლავზე აბიბინდება.

14

ცხოვრების ზღვაში ვნახეთ, რაც რამ მარგალიტია
და ვერ გავიგეთ, ყალბია თუ ჭეშმარიტია;
ის საფიქრალი, რაც ცხოვრებამ ვერ დაიტია,
ფიქრადვე დარჩა, სიკვდილმა რომ შემოგვიტია.

15

ეს დოქიც თურმე კაცი იყო, ისიც თვრებოდა,
რომ დათვრებოდა, მერე სატრფოს ეახლებოდა;
დოქის სახელურს რომ უყურებ, ის ხელი იყო,
ლამაზმანების ყელ-კისერს რომ გარს ევლებოდა.

16

ბედი იმ დოქში, რაც მოუკლავს წყურვილს ღატაკებს,
თიხასთან ერთად მეფის თვალებს ჩააქანდაკებს,
თითო ღაწვისგან გამოძერწავს თითო ფიალას,
მისცემს ლოთებს და ყურს მიუგდებს, ვინ რას ქადაგებს.

17

ამ ძველ საწუთროს სახელი აქვს ცრუ და არამი,
მის ძველ კედლებში სამყოფი აქვს ყველას ვარამი;
ის სასახლეა, სადაც ასი ჯემშიდი მჯდარა
და არის კოშკი, სადაც ნახეს ასი ბარამი.

18

ვით ნიაღვარში წვიმის წვეთი და ზვავში ფიფქი,
დღეო გასულო, საწუთროში უკვალოდ მიქრი;
სანამ ვარ ქვეყნად, ეს ორი რამ არ დამამწუხრებს:
უკვე წასულ და ჯერარმოსულ დღეებზე ფიქრი.

19

ტურფა ვარდის სიცოცხლეში აყვავების თვეა კარგი,
ღვინით ღამენათევისთვის განთიადის მზეა კარგი,
რაც გაქრა და რაც წავიდა, რაც ხსოვნაში გადავიდა,
მასზე ფიქრებს დაეხსენ და... დღევანდელი დღეა კარგი!

20

ჩვენს აქ მოსვლამდე დღეც იყო და ღამეც ყოფილა,
ამ ცისქვეშეთში, ალბათ, რაღაც საქმეც ყოფილა;
ჩვენს ფეხქვეშ მიწა ლამაზმანის თვალებს მაგონებს,
აქ რომ იყო და, ალბათ, სხვაგან სადმეც ყოფილა.

21

დიდხანს ვძებნე და არაფერი დამიხვდა წინ მე,
გადავიღალე წარმართობით გარეთ თუ შინ მე;
რომ მეუბნებით – „ჯოჯოხეთი არ აგცდებაო“ -
ნუთუ სამოთხეს ან ჯოჯოხეთს სწვევიხართ ვინმე?!

22

ვინც ამ ფიალის ნამცეცები ერთად შეყარა,
სიტყვის სათქმელად ჩვენ ჯერ არსად შემოგვეყარა;
ან იმ მიწაზე რად ისურვა ჯავრი ეყარა,
ლამაზმანების მტვერი სადაც მრავლად ეყარა.

23

რადგან სიცოცხლე მოწყალებას არ არს ჩვეული,
მოილხინე და დაივიწყე ხვედრი წყეული;
ჭკუით იცხოვრე, რადგან შენი ტურფა სხეული
მხოლოდ მიწაა და მტვერია წყალს შერეული.

24

გაზაფხულზე, ღრუბელი რომ პირს ჩამოჰბანს ვარდს და ტიტას,
ღვინო სვი და ეგ ნაღველი მკლავებს აღარ ჩამოგწყვიტავს;
დღეს ამ ბალახს შენ გათელავ, ხვალ ის იტყვის თავის სიტყვას,
როცა შავი სამარიდან შენს ნარჩენებს ამოიტანს.

25

მთვრალმა ბულბულმა ოდეს ჰპოვა ბაღნარის კარი,
შემოეგება მას იქ ვარდი, პირმომღიმარი;
მერე ჩამოჯდა ჩემს მახლობლად და ჩამჩურჩულა:
„წარსულ სიცოცხლეს ნუ მისტირი... რაც არი, არი!“

26

ჟამთასრბოლა თუკი ჩვენი ხოცვა-ჟლეტით არ დაცხრა,
ზეცა, გინდა, შვიდი იყოს და, თუ გინდა, რვა და ცხრა;
თუკი სიკვდილს არ ავცდებით არც მე, არც შენ და არც სხვა,
სულერთია, ჭია დაგხრავს, თუ ნადირი დაგაცხრა.

27

თუ გაზაფხულდა, თუ ბარბაცებს მთვრალი ყაყაჩო,
რად გინდა, სატრფოს ბაგეების გარდა, სხვა სარჩო?
ღვინო დალიე, ამ ბებერმა წუთისოფელმა
თავის მორევში შენი მსგავსი ბევრი დაახრჩო.

28

ვერ ჩასწვდები ჭეშმარიტ აზრს, ვერ გაიგებ, ვინ ხარ, რა ხარ
და მიტომაც შენს სიცოცხლეს ასეთ ფიქრებს ფუჭად ახმარ;
სჯობს ფიალას ეფერო და, რომ მოკვდები ან დღეს, ან ხვალ,
სამარისთვის სულერთია, ფხიზელი თუ მთვრალი ჩახვალ.

29

რადგან ქარია ყველაფერი, რაც კი რამ არის,
რადგან ყველაფერს ელის ხვედრი მტვრის და სამარის,
შენ მარადიულს წამიერად შეავლე თვალი
და ჩათვალე, რომ წამიერიც მარადჟამ არის.

30

შავი მიწა, ფეხს რომ ადგამს დღეს ხან ერი და ხან ბერი,
ერთდროს ქალის ბაგე იყო, ვარდისა და ღვინის ფერი;
ეს ლამაზი აგურები, დღეს რომ მორთეს იმით ჭერი,
ან ვეზირის ხელი იყო, ანდა სულთნის თმა და წვერი.

31

ყოვლისშემქმნელმა როცა მოჭრა სამყაროს თარგი,
თვით არ იცოდა – რა არ ვარგობს და რაა ვარგი...
მე თუ ცუდი ვარ, რად მიბოძა თვისი იერი,
ან ასე უღვთოდ სულს რადა მხდის, თუკი ვარ კარგი?!

32

იდუმალების ფარდის ახდა ძალუძს არავის,
გრძნეულ ზრახვათა ამომცნობი არვინ არ არის.
აფსუს, წყვდიადი მიწის გულში დავიდებთ ბინას...
ჩვენი ცხოვრება სიზმარია... აბა, რა არის?!

33

სიზმრად ვნახე ვიღაც ბრძენი, მითხრა – „რა დროს ძილიაო?
აქ სიცოცხლის ვარდი ჭკნება, ცხადში გადაშლილიაო;
ძილში ყოფნით ვერ შეიცნობ მას, ვინც ყოფნის შვილიაო,
სანამ დროა, გამოფხიზლდი! – ძილი მიწის წილიაო“.

34

ორ სამყაროში მოწანწალე მგზავრებსა ვგავართ,
თავსა და ბოლოს ვერ ვხედავთ და შუაზე დავალთ;
არავინ ამბობს ჩვენთან მართალს – ვინ ვართ და რა ვართ,
რა გზით მოვედით წუთისოფლად და რა გზით წავალთ.

35

შენი ხილვა, ტურფა ქალო, ო, რა საამურია,
მოდი, ღვინო მომაწოდე, ხომ იცი, რომ მწყურია...
და თუ ამან დამავიწყა, რაც რამ ქვეყნად შურია,
ძაღლი ვიყო, თუ მახსოვდეს სამოთხე და ჰურია.

36

იცოდე, შენც და შენი სულიც ბეწვზე კიდიხართ,
რადგან არყოფნას ჩალის ფასად შეუსყიდიხართ;
ღვინო დალიე, არვინ იცის, საიდან მოხველ,
იმხიარულე, არვინ იცის, საით მიდიხართ.

37

მწდეო, ამ ვარდნარს, დღეს რომ ყვავის გულის სალხენად,
გწამდეს, ხრიოკი დაერქმევა მალე სახელად;
მაშ, ღვინო ვსვათ და, მაშ, მოვკრიფოთ ვარდის კონები,
სანამ ეს მდელო უქცევიათ ნაგვის საყრელად.

38

ბნელი ცხოვრების გზაზე მავალს რადგან ვედრები,
აღარაფერი დამრჩა ქვეყნად დასაყვედრები;
მადლობა უფალს, საკუთარი რომ მაქვს ტკივილი
და ამას მაინც სხვას არავის არ ვევედრები.

39

მოვძებნოთ მდელო, სადაც ია-ვარდი თესია,
ღვინო შევსვათ და მოვილხინოთ, როგორც წესია;
ლამაზი ქალიც თუ გვეახლა გამთენიისას,
აღარც მეჩეთი გვეხსომება, არც ეკლესია.

40

სიცოცხლის რტოებს აყვავებას ერთხანს აცლიან
და ლამაზ პერანგს სუდარაზე მალე გაცვლიან,
შენს სხეულს, როგორც მფარველ კარავს, ნუ მიენდობი,
რადგან ამ კარავს მალე საყრდენს გამოაცლიან.

41

ხალხი ამბობს: „არ არსებობს სამოთხეზე კარგი რამო!“
მე კი ვამბობ: „სანამ ცოცხლობ, კარგად უნდა სვა და ჭამო“;
ის ნისია დაივიწყე და იზრუნე ნაღდის გამო _
შორიდან ხომ დაფდაფების ბრახაბრუხიც არის ამო.

42

ვიცი, რომ მკიცხავ ლოთობისთვის, ვიცი, რომ მძრახავ,
ვიცი, ჯოჯოხეთს ვერ გავცდები, ვერ გადავლახავ;
და რომ აგზავნი ჯოჯოხეთში ლოთსა და მიჯნურს,
ხვალ ხომ სამოთხეს, ვით ხელისგულს, ცარიელს ნახავ?!

43

მე ჯერ არ ვიცი, ჩემს სულზე ვინ ბატონობს და ვისია,
წყეული ჯოჯოხეთის თუ ტურფა სამოთხის ღირსია?!
ბარბითის კვნესა, ღვინის სმა, სატრფოს ალერსი მდელოზე,
ჩემთვის ეს სამი ნაღდია, ის სამოთხე კი – ნისია.

44

მთვარის სხივებმა გაარღვიეს სიბნელის მახე,
შენც შენი შვება დღეს ამ სავსე მთვარესთან ნახე;
მოილხინე და წარმავალ დროს ნურას შესჩივი _
თავად მთვარესაც დაეცლება მალე ეს სახე.

(ალექსანდრე ელერდაშვილის თარგმანი)

პლასტმასისგან წყალს ბაქტერიებით გაწმენდენ

ბაქტერიები ბუნებრივი გზით ჯგუფდებიან, ეწებებიან ზედაპირებს და წარმოქმნიან ნივთიერებას, სახელწოდებით „ბიოფენა“. სწავლულებს ჰონკონგის უნივერსიტეტიდან, სურთ გამოიყენონ ბაქტერიების ეს თვისება ლენტისებური მიკრობული ქსელის შესაქმნელად, რომელიც დაეუფლება და გადაამუშავებს მიკროპლასტიკის ნაწილაკებს დაბინძურებულ წყლებში. ექსპერიმენტალური პროექტი ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მეთოდი პლასტმასთან ბრძოლაში აუცილებლად გაამართლებს. მეთოდის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ დაბინძურებას ბუნებრივი მიკროორგანიზმებით აღმოფხვრიან, რაც უსაფრთხო იქნება გარემოსთვის. მიკროპლასტმასი წყალში პროდუქტების პაკეტების, ბოთლებისა და სხვა საყოფაცხოვრებო საგნების ხრწნის შედეგად ხვდება. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მონაცემებით, 2018 წელს, მიკროპლასტმასი ზღვის 114-ზე მეტი სახეობის ორგანიზმებს აღმოუჩინეს. ასევე, ის არის მარილში, სალათის ფურცლებში, ვაშლში და კვების სხვა პროდუქტებში, რასაც ადამიანი მოიხმარს.

მასკი კლიმატის ცვლილებას შეებრძოლება

მილიარდერმა ილონ მასკმა, ახალი პროექტის – XPrize-ის წარმომადგენლებთან ერთად, ახალი კონკურსის შესახებ განაცხადა. კონკურსი კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან ბრძოლას ეძღვნება, რომლის მონაწილეებს მოუწევთ, წარადგინონ ინოვაციური იდეები დედამიწის ატმოსფეროსა და ოკეანეების ნახშირორჟანგისგან გაწმენდის შესახებ. მასში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლება, კონკურსის საპრიზო ფონდი კი 100 მილიონი დოლარია. ახალი წამოწყების შესახებ, მასკმა დედამიწის დღეს – 22 აპრილს განაცხადა. კონკურსის ხანგრძლივობა 4 წელიწადია და შესაბამისად, გამარჯვებულიც 2025 წელს გამოვლინდება. საწყის ეტაპზე, მონაწილეებმა უნდა დაასაბუთონ, რომ ატმოსფეროდან და ოკეანეებიდან, წელიწადში, 1000 ტონა ნახშირორჟანგის გამოდევნა შეუძლიათ.

ოფისი უფსკრულის პირას მოიწყო

34 წლის ბრიტანელმა ჯეისონ გრიფინმა, ოფისი უფსკრულის ნაპირას გაიკეთა. ასეთი გიჟური იდეა მამაკაცს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც პანდემიის გამო, თანამშრომელთა ნაწილი მუშაობის დისტანციურ ფორმატზე გადაიყვანეს. ჯეისონი ამბობს, რომ ამგვარად იმის დემონსტრირებას შეეცადა, რომ მუშაობა ნებისმიერი ადგილიდანაა შესაძლებელი – მთავარია, გქონდეს ნოუთბუქი და ინტერნეტი. ზაფხულისთვის გრიფინი „მინი-ოფისის“ გადატანას შოტლანდიის მახლობლად, უკაცრიელ კუნძულზე აპირებს.

მძღოლებს დემონსტრანტების გადათელვის უფლება მისცეს

ფლორიდის გუბერნატორმა, რონ დესანტისმა ახალ კანონს მოაწერა ხელი, რომელიც სამართალდამცავებს დემონსტრანტების აგრესიისგან დაიცავს და იმ საპროტესტო გამოსვლებსაც ჩაახშობს, რომლებიც ძალადობაში გადადიან. ეს ყველაზე მკაცრი კანონია, რომელიც ქვეყანაში არეულობების წინააღმდეგ შეიქმნა. მსგავსი არსად არ არის – აცხადებს გუბერნატორი. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ბუნტი“ – ესაა წესრიგის საჯარო დარღვევა სამი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც „მუშაობენ კოლექტიურად იმ განზრახვით, რომ ძალადობრივ და ხულიგნურ ქმედებებში, ერთმანეთს დაეხმარონ“. ახალი კანონით, მძღოლებს ენიჭებათ იმუნიტეტი, თუკი ისინი გზის გადამკეტ დემონსტრანტებს გადათელავენ. ფლორიდის გუნერნატორი ითხოვს, გაიზარდოს ჯარიმის ოდენობა სამართალდამცავებზე თავდასხმის გამო. თუკი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ხელს შეუშლიან პოლიციას დემონსტრაციის დაშლაში, ისინიც დაჯარიმდებიან.

ბიზნესმენები კომფესტიკით ინტერესდებიან

ბევრი იაპონელი მეწარმე ფინანსურად ძალიან დაზარალდა პანდემიის გამო, თუმცა კოსმეტიკური სალონების მფლობელები აცხადებენ, რომ მათი კლიენტურა საკმაოდ გაიზარდა კარანტინის პირობებში. იაპონელი ბიზნესმენები, რომელთა ასაკი 40-დან 60 წლამდეა და რომლოებიც ადრე არ ინტერესდებოდნენ „ბიუთი-ინდუსტრიით“, ახლა რეგულარულად იტარებენ პროცედურებს, რათა ახალგაზრდულად და მომხიბვლელად გამოიყურებოდნენ კორპორატიულ შეხვედრებზე, Zoom-ში. ცნობილი ბრენდი Shiseido, რომელიც პარფიუმერიასა და თავის მოვლის საშუალებებს აწარმოებს, აღნიშნავს, რომ საკმაოდ გაიზარდა მოთხოვნა მამაკაცებისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე. ძლიერი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც ონლაინ-შეხვედრებზე მუდმივად ხედავენ საკუთარ თავს მონიტორზე, გარეგნობის გაუჯობესებას ცდილობენ, რათა უფრო პრეზენტაბელურად გამოიყურებოდნენ.

ტურისტებს ვაქცინაციას სთავაზობენ

მალდივების მთავრობა, თითოეულ ტურისტს, რომელიც დასვენებას ამ კუნძულოვან ქვეყანაში გადაწყვეტს, ვაქცინაციას შესთავაზებს. ტურიზმის მინისტრის თქმით, დანერგავენ სტრატეგიას, რომლის თანახმადაც, ყოველ მსურველს შეეძლება, არა მხოლოდ დაგეგმილი შვებულება გაატაროს მალდივებზე, არამედ, კორონავირუსის ვაქცინის ორივე დოზაც მიიღოს. ამ შემთხვევაში, ტურისტებს კუნძულებზე დარჩენა რამდენიმე კვირით მოუწევთ. ეს პროექტი მას შემდეგ ამოქმედდება, რაც ქვეყნის ყველა მცხოვრები ვაქცინის საკუთარ დოზას მიიღებს. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, რომელიც პანდემიისას მნიშვნელოვნად დაზარალდა. მალდივებზე ვაქცინის პირველი დოზა უკვე მიიღო ტურისტული სექტორის თანამშრომელთა 90%-მა, ხოლო მთლიანობაში – ქვეყნის მცხოვრებთა 53%-მა.

კბილებს დაბჟენის გარეშე უმკურნალებენ

კბილების დაბჟენა და მისი თანამდევი – ბურღი, ადამიანების უმრავლესობისთვის ნამდვილი კოშმარია. კარიესის ჰუმანური მკურნალობის ერთ-ერთი, შესაძლო ვარიანტი ნატურალური ემალის აღდგენაა. ასეთი ექსპერიმენტები არაერთხელ ჩატარდა, თუმცა დღემდე პრობლემად რჩებოდა ემალის კრისტალების განსაკუთრებული სტრუქტურა. ამ საკითხის გადასაჭრელად, ჩინელმა სპეციალისტებმა, კალციუმის ფოსფატის კლასტერები გამოიყენეს 1.5 ნანომეტრის ზომით. ექსპერიმენტისას, 48 საათში მიიღეს ემალის ფენა საჭირო სტრუქტურით. ის ისეთივე სიმტკიცისაა, როგორიც ნატურალური. ჩინელი სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათ მეთოდს მომავალში ფართოდ გამოიყენებენ სტომატოლოგიაში. მასალა შედარებით იაფია და დიდი რაოდენობით მისი წარმოებაც შესაძლებელი იქნება.

პროფესიები, რომლებიც სიცოცხლეს გვიმოკლებენ

ცოტა ხნის წინ, რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელმა სწავლულთა ჯგუფმა განაცხადა, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გამოარკვიეს, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში, ადამიანს სიცოცხლეს უმოკლებს. აღმოჩნდა, რომ არსებობენ პროფესიები, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენენ ჯანმრთელობაზე და ზოგადად, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ამ დასკვნების გასაკეთებლად, სწავლულებს 17-წლიანი დაკვირვება დასჭირდათ, დაახლოებით, 140 ათას მოხალისეზე. ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სამსახურში მიღებულ სტრეეს შეუძლია გაზრდოს ინსულტის რისკი, როგორც მამაკაცებში, ასევე, ქალებში – შესაბამისად, 22% და 3%-ით. საოცარია, მაგრამ ყველაზე უსაფრთხო და ყველაზე მცირე სამუშაო სტრესის მქონედ მეეზოვისა და მაღაროელის პროფესიები დაასახელეს. საშიში საქმიანობის მქონეებში კი ჩაწერეს ინჟინრები, ოფისის კლერკები, მასწავლებლები, მომსახურე პერსონალი და კოპირაიტერები. მკვლევართა თქმით, სტრესი არა მხოლოდ ნეგატიურად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, არამედ ადამიანს ცხოვრების არასწორი წესისკენ უბიძგებს. ყველაზე გავრცელებულ ცუდ ჩვევებში კი გამოყოფენ ჰიპოდინამიას, ხშირ მოწევასა და დაუბალანსებელ კვებას.

სიგარეტს ლოგოტიპის გარეშე ყიდიან

ტაილანდში მთელი სავაჭრო ქსელი ოფიციალურად გადავიდა სიგარეტის „უბრალო“, ულოგოტიპო კოლოფებზე. უკვე მიმდინარე თვიდან, ყველა ახალი კოლოფი ერთნაირი, შავი ფერისაა, სიმსივნური წარმონაქმნების, ავადმყოფი ბავშვებისა და თეთრზეწარგადაფარებული მიცვალებულების შესაშინებელი ფოტოებით. მოწევასთან ბრძოლის ახალი ღონისძიების მიზანი ის არის, რომ მწეველებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, თამბაქოს მიმართ სურვილი დაუკარგონ. აღსანიშნავია, რომ უკვე რამდენიმე წელია, ტაილანდში აკრძალულია, რომ მაღაზიების ვიტრინებში, სიგარეტები დააწყონ გასაყიდად, ამ პროდუქციის თაროები სპეციალური, გაუმჭვირვალე კარითაა დაფარული.

„ჩერნობილის არაყი“ ჩამოასხეს

ბრიტანელმა სპეციალისტებმა პორტსმუთის უნივერსიტეტიდან, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდნენ ჩერნობილის 1986 წლის ატომური კატასტროფის გავლენას გარემოზე, ახალი არაყი ჩამოასხეს. მის შესაქმნელად კი ჩერნობილის ზონიდან აღებული მარცვლეული და წყალი გამოიყენეს. მიუხედავად იმისა, რომ არაყი Atomik-ი დამზადებულია პროდუქტებით, რომლებიც დანგრეული ბირთვული რეაქტორის მიმდებარე ტერიტორიიდანაა მოპოვებული, მისი ავტორები აღნიშნავენ, რომ სასმელი აბსოლუტურად უსაფრთხოა. წარმოებისას, დისტილირებული სპირტი გააზავეს მინერალური წყლით, რომლის ჭაც, რეაქტორიდან 10 კილომეტრში მდებარეობს. ახალი არყის ავტორები ამტკიცებენ, რომ მათი ნახელავი სხვა სასმელზე მეტად რადიოაქტიური არ არის. სასმელის გაყიდვიდან მიღებული თანხის 75%-ს ისინი უკრაინაში, ქველმოქმედებაზე დახარჯავენ.

ტვინის დაავადებას კალმით დაადგენენ

ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების დიაგნოსტირებისთვის ადრეულ სტადიებზე, სპეციალური ციფრული კალამი შეიქმნა. სიახლე აშშ-ს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სწავლულებმა წარადგინეს. მოწყობილობა ძალიან მარტივია გამოსაყენებლად: დიაგნოსტიკისთვის საკმარისია, რომ ამ კალმით რამდენიმე ნახატი გაკეთდეს. გაჯეტი მაღალი სიზუსტითა და სიჩქარით განსაზღვრავს, აქვს თუ არა ამ კალმის მომხმარებელ ადამიანს ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების, მათ შორის, ალცჰაიმერისა და პარკინსონის ადრეული სიმპტომები. ამ ინოვაციურ კალამში სპეციალური ვიდეოკამერაა ჩამონტაჟებული, რომელიც კალმის წვერისა და ფურცლის მდებარეობას, წამში 80 კადრის სიხშირით აკვირდება. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის წყალობით, სენის ადრეული სტადიების უმცირესი ნიშანიც კი გამოვლინდება.

საკეისრო კვეთა აუტიზმის რისკს ზრდის

საკეისრო კვეთა აუტიზმის განვითარების რისკს ზრდის ბავშვებში – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ შვედი სპეციალისტები, კაროლინის ინსტიტუტიდან. მათ კვლევაში, დაახლოებით, 20 მილიონი ქალი მონაწილეობდა მსოფლიოს 19 ქვეყნიდან. მათ შორის იყვნენ ისინიც, რომლებმაც ბუნებრივად იმშობიარეს და ისინიც, რომლებმაც ქირურგების ჩარევით გააჩინეს შვილები. აღმოჩნდა, რომ ბავშვებში, რომლებიც ხელოვნური ჩარევით მოევლინენ ქვეყანას, 33%-ით მეტი აუტისტია, გარდა ამისა, მათში 17%-ით უფრო ხშირად გვხვდება ყურადღების დეფიციტის სინდრომი და ჰიპერაქტიურობა. სწავლულთა მოსაზრებით, შესაძლოა, ეს უკავშირდებოდეს ახალშობილის კონტაქტს დედის მიკროფლორასთან, რაც ბუნებრივი მშობიარობისას ხდება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამის გამო, შესაძლოა, დაირღვეს პატარას იმუნური სისტემის განვითარება და ნეგატიურად აისახოს ტვინის მუშაობაზე.

მსუქანი კატის პატრონს დააჯარიმებენ

შვედეთში, ვესტრა-გეტალანდის ადმინისტრაციულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დააჯარიმოს მსუქანი კატის პატრონი, თუკი ის შინაურ ცხოველს დიეტაზე არ დასვამს. ამჟამად, კატის წონა 11 კილოგრამია. ის ფაქტი, რომ ცხოველი კასტრაციის შემდეგ გასუქდა, დეპუტატებს არ აღელვებთ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ჯანმრთელი კატის წონა 5 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს და მიაჩნიათ, რომ პატრონმა ის სწორად უნდა კვებოს. საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას ჯარიმის სახით, 5 ათასი კრონის გადახდა მოუწევს. კატის გახდომის თაობაზე, მფლობელმა საბჭოს ყოველ ორ კვირაში უნდა მიაწოდოს ინფორმაცია. ცხოველს ვეტერინარის მეთვალყურეობით აწონიან, რომელიც დაწერს კიდეც შესაბამის აქტს, საბჭოსთვის წარსადგენად.

კაკალი გახდომაში დაგეხმარებათ

კაკლის რეგულარული მოხმარება ხელს უწყობს წონის დაკლებას და სიმსუქნის განვითარების ალბათობასაც ამცირებს – აცხადებენ ამერიკელი სწავლულები, ჰარვარდის უნივერსიტეტიდან. სპეციალისტებმა კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 40-დან 75 წლამდე ასაკის 50 ათასზე მამაკაცი და 24-დან 44 წლამდე ასაკის 30 ათასამდე ქალი მონაწილეობდა. კვლევამ აჩვენა, რომ ნებისმიერი სახის კაკლის მოხმარების გაზრდა, ჭარბი წონის აკრეფის ნაკლებ რისკს უკავშირდებოდა. ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ პორცია ნიგოზს (28 გრამი), კიდევ 14 გრამს ამატებდნენ, ზედმეტი კილოგრამების აკიდების პრობლემა არ ჰქონდათ. სწავლულების თქმით, ასეთი ეფექტის მიზეზი ის არის, რომ ნიგვზის ღეჭვა ადამიანისგან გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს, რის შედეგადაც, იხარჯება კალორიები და სხვა პროდუქტების საჭმელად ნაკლები ენერგია რჩება. გარდა ამისა, კაკალში უჯრედისის მაღალი შემცველობის გამო, ადამიანი უფრო დიდხანს გრძნობს თავს დანაყრებულად.

ანორექსიის წამალი შექმნეს

ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა სტატია ახალ პრეპარატზე, რომელიც ადამიანს მადის გამოწვევაში ეხმარება და ანორექსიას სძლევს. ის კროკის საუნივერსირტეტო კოლეჯის სწავლულებმა შექმნეს. ყველაზე ხშირად, ცუდი მადა მათ აქვთ, რომლებსაც თირკმელები აწუხებთ ან სიმსივნური დაავადებები აქვთ. წონის დაკლება სწრაფი დაბერების ფაქტორიცაა. მკვლევარები ამბობენ, რომ მათი ძირითადი ცდები გრელინზე – შიმშილის ჰორმონზე მიმდინარეობდა. რაც მეტია ადამიანის ორგანიზმში ეს ჰორმონი, მით უფრო დიდი აქვს მადა. სპეციალისტებმა შეძლეს გრელინის ანალოგის შექმნა და ახალი პრეპარატის შემუშავება, რომელიც არ შეიცავს არანაირ ნარკოტიკულ საშუალებას და ასევე, არ ვნებს ორგანიზმს. ახალი წამალი უკვე გამოსცადეს ლაბორატირიულ თაგვებზე და შედეგი პოზიტიური იყო. ახლა წინ, კლინიკური ცდებია.

ანტიოქსიდანტური ნაყინი შექმნეს

რომის უნივერსიტეტის კარდიოლოგმა და ნაყინის მოყვარულმა, ვალერიო სანგუინიმ ცივი დესერტის ახალი რეცეპტი დააპატენტა, რომელიც ანტიოქსიდანტური თვისებებით გამოირჩევა. ზუსტი რეცეპტი, რასაკვირველია, საიდუმლოა, თუმცა ცნობილია, რომ ის შეიცავს კაკაოს ფხვნილს, ტყის კაკალსა და მწვანე ჩაის ექსტრატს. მოხალისეებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ახალი ნაყინის მოხმარება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შრომისუნარიანობას. ექსპერიმენტში მონაწილეების ნაწილს ახალ პროდუქტს აძლევდნენ, ნაწილს კი – ნაყინ-პლაცებოს. შედეგებმა აჩვენა, რომ იმ მოხალისეებში, რომელთაც ახალი ნაყინი მიირთვეს, გაცილებით გაუმჯობესდა სისხლძარღვთა ფუნქცია.

პომიდორი ჯანმრთელობას ვნებს?

ამერიკელი კარდიოლოგი სტივენ ჰანდრის განცხადებით, პომიდორმა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობით ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს, შესაძლოა, ჩვენს ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს. ამის შესახებ, მან საკუთარ წიგნში – „მცენარეთა პარადოქსი“ დაწერა. სპეციალისტის თქმით, ეს ბაღჩეული კულტურა შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას. ლაპარაკია ლექტინებზე – ცილების სახესხვაობაზე, რომლებსაც მცენარე მავნებლებისგან თავის დასაცავად გამოიმუშავებს. კარდიოლოგის თქმით, როცა ისინი ორგანიზმში ხვდებიან, ანთებით პროცესებსა და სხვადასხვა დაავადებების განვითარებას იწვევენ. ჰანდრი აცხადებს, რომ ცილის ეს სახესხვაობა არა მხოლოდ მავნე ბაქტერიებს ანადგურებს, არამედ, ჯანმრთელ უჯრედებსაც. სწორედ პომიდორს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, თმის ცვენა, კანზე გამონაყარი, ასევე, შესაძლოა, ნაგატიური გავლენა მოახდინოს ტვინის მუშაობაზე.

ყოველდღე დაბანას არ გვირჩევენ

ექიმი-დერმატოლოგები ადამიანებს ურჩევენ, არ დაიბანონ ყოველდღიურად. მათი თქმით, სხეულის ხშირი დაბანა ჯანმრთელობას აზიანებს. სპეციალისტების განცხადებით, შხაპის ყოველდღიური მიღება ადამიანის ორგანიზმს დამცავ ბარიერს უქვეითებს. გარდა ამისა, ხშირი ცხელი შხაპი კანის გამოშრობასა და მასზე მიკრონაპრალების წარმოქმნას იწვევს. ყოველდღიური დაბანისას, გელისა და საპნის გამოყენება ზრდის ინფექციების განვითარების რისკს, რადგან დასაბანი საშუალებები სასარგებლო ბაქტერიებსაც ანადგურებენ. დერმატოლოგების კიდევ ერთი რჩევაა, წყლის პროცედურები 15 წუთზე მეტხანს არ მივიღოთ, რათა არ დავაქვეითოთ კანის დამცავი ბარიერი. ყოველდღიურ დაბანას, თეთრეულისა და ტანსაცმლის ხშირი გამოცვლა სჯობს.

გამაახალგაზრდავებელი ჯინი შექმნეს

სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები გვირჩვენ, თავი შორს დავიჭიროთ ალკოჰოლისგან, თუკი გვსურს, რომ კარგი კანი გვქონდეს. მიუხედავად ამისა, ბრიტანული კომპანია Bompas & Parr, რომელიც ჟელატინის შთამბეჭდავ დესერტებს ამზადებს, საწინააღმდეგოსკენ გვიბიძგებს. მათ შექმნეს ჯინი, რომელიც კანს ეხმარება, უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს. ეს ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც Anti-aGin უწოდეს, კოლაგენსაც შეიცავს, რომლის მოქმედებაც ნაოჭების წარმოშობას ებრძვის. როგორც ცნობილია, ამ გამაახალგაზრდავებელი ჯინის ერთი ბოთლი, ნებისმიერ მსურველს, 50 დოლარი დაუჯდება, თუმცა სპეციალისტები გვირჩევენ, რომ არსებობს ნაკლებძვირიანი პროდუქტები, რომლებიც კოლაგენის დაშლის წინაღმდეგ მოქმედ ანტიოქსიდანტებს შეიცავენ. მაგალითად, ძვლების ბულიონი, ორაგული და მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული – კომბოსტოსა და ისპანახის სახით.

ზეითუნი ტვინის ანთების წინააღმდეგ

ზეითუნის ზეთის სასარგებლო თვისებები ჯერ კიდევ საუკუნეების წინ იყო ცნობილი. ცოტა ხნის წინ, ამერიკელმა სწავლულებმა პენსილვანიის უნივერსიტეტიდან, განაცხადეს, რომ ამ პროდუქტის მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს ტვინის ანთებას. ნატურალური ზეითუნის ზეთი ხელს უშლის ტვინის დემენციას და ინარჩუნებს მეხსიერების აქტივობას. მკვლევარებმა ექსპერიმენტებისას დაამტკიცეს, რომ ზეთი მავნე ნარჩენებისგან ასუფთავებს თავის ტვინს. ზეითუნის ზეთის რეგულარული მოხმარება არა მხოლოდ იცავს მეხსირებას, არამედ, ადამიანს აძლევს უნარს, ასაკის მიუხედავად, სწრაფად და მარტივად ისწავლოს ახალი რამ. ამერიკელი სწავლულების მტკიცებით, აზროვნებისთვის უფრო სასარგებლოა ზეითუნის ზეთი, ვიდრე ნებისმიერი სახის ხილი ან ბოსტნეული.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.